პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

15 მაისი, 1939 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ფასი 30 კაპ. № 15 (102).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის შევჩენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილი მეექვსე პლენუმის მისალმება ამხანაგ სტალინს

მოსკოვი, კრემლი

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან შევიკრიბენით ჩვენ, სოციალიზმის ქვეყნის მწერლები, მზიურ კიევში, თავისუფალ დნეპრზე, რათა ვიდღესასწაულოთ უკრაინის გენიალური პოეტის, თავისი ხალხისა და ყველა ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის შთაგონებული მებრძოლის — ტარას გრიგოლის-ძის შევჩენკოს სახელოვანი იუბილე. ჩვენ შევიკრიბენით სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე იმისათვის, რომ სიყვარულით და სათუთად, ღრმად და ყოველმხრივად განვიხილოთ დიდი კობზარის უმდიდრესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ჩვენ პლენუმს წინ უძღვოდა შევჩენკოს ნათელი ხსოვნის საყოველთაო სახალხო აღნიშვნის თვეები. შევჩენკოს შესანიშნავი ლექსები აჟღერდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენაზე. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა აღნიშნა შევჩენკოს იუბილე, როგორც სოციალისტური კულტურის დიადი დღესასწაული, როგორც თავისი მშობლიური, ღვიძლი საქმე.

უდიდესი სიხარულით გაუწყებთ ამას თქვენ, იოსებ ბესარიონის ძევ. ჩვენ ვიცით, რა ყურადღებით და მზრუნველობით მოეპყარით თქვენ სსრ კავშირის ხალხთა ამ კულტურული დღესასწაულის მომზადებისა და ორგანიზაციის საქმეს,—დღესასწაულის, რომელშიაც ასე მკაფიოდ აისახა ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

შევჩენკოს მთელი ცხოვრება და ბრძოლა, მთელი მისი შემოქმედება ისახება ჩვენს თვალწინ, როგორც თავის ხალხისადმი, თავის სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების განსახიერება, როგორც უაღრესად ღრმა და ჭეშმარიტი ხალხურობის განხორციელება, როგორც მხატვარ-მოქალაქის მაღალი ოსტატობის შესანიშნავი მაგალითი.

აი რატომ არის შევჩენკოს გმირული პოეზია ასე ძვირფასი და მახლობელი გამარჯვებული ხალხის მიერ წარმოშობილი ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურისათვის.

მხოლოდ საბჭოთა კავშირში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო კულტურის მთელი საგანძურის ერთად-ერთ კანონიერ მემკვიდრეს, მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც საძირკველი ეყრება კომუნიზმის კულტურას, არის შესაძლებელი ისეთი კულტურული დღესასწაულები, როგორიცაა პუშკინის, შევჩენკოს, რუსთაველის, შექსპირის, გოეტეს და მსოფლიო ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა იუბილეები.

ჩვენ ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო წარმოადგენს მსოფლიო კულტურის ციხე-სიმაგრეს და უპირისპირდება ფაშიზმის საშუალო საუკუნებრივ ბარბაროსობას, — ფაშიზმის, რომელიც კანიბალურად უსწორდება მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო ადამიანებს და მხეცურად სპობს კაცობრიობის გონების უდიდეს ქმნილებებს.

ჩვენი პლენუმი შევჩენკოს სამშობლოში შეიკრიბა. ჩვენ აშკარად ვხედავთ, როგორ აყვავდა მშვენიერი საბჭოთა უკრაინა, როგორ გაიზარდნენ მისი ქარხანა-გიგანტები, როგორ ბიბინებს მისი უხვი საკოლმეურნეო ჯეჯილი, როგორ გმირულად მუშაობენ თავისუფლების მოყვარე ხალხის შვილები—ვაჟები და ქალები, როგორ ფხიზლად და მამაცურად იცავენ ისინი ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვრებს. ჩვენ გვაფრთოვანებს და გვახარებს უკრაინის სოციალისტური კულტურის დიდი წარმატებანი, უკრაინის საბჭოთა სახალხო ინტელიგენციის არნახული ზრდა. რა ბედნიერებაა სცხოვრობდე სტალინურ ეპოქაში, როცა აღსრულდა ხალხის საუკეთესო შვილების—პუშკინის და შევჩენკოს, ბელინსკისა და ნეკრასოვის გაბედული და კეთილშობილური ოცნებები. მადლობის გულწრფელი გრძნობით ვფიქრობთ ჩვენ იმაზე, რომ ჩვენი მშობლიური ხალხის ყოველი უდიდესი გამარჯვება, ჩვენი ახალგაზრდა კულტურის ყოველი ნაბიჯი შთაგონებულია თქვენი გენიით, წარმართულია თქვენი ნებისყოფით ამხანაგო სტალინ.

თქვენ, საბჭოთა ლიტერატურის დიდ მეგობარს, საბჭოთა ხალხის და მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადსა და მასწავლებელს, მოგიძღვნით ჩვენს მხურვალე, გულის სიღრმიდან ამომხდარ ბოლშევიკურ სალამს.

ჩვენ ყოველდღიურად გვახსოვს, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გრანდიოზულ მუშაობაში მწერლის ადგილი პირველ რიგშია. ჩვენი წიგნებით ჩვენ ვიბრძოლებთ მესამე სტალინური ხუთწლედის დიადი გეგმის განხორციელებისათვის. მთელ ჩვენს ძალღონეს და ნიჭს, ჩვენ, საბჭოთა მწერლები, მივუძღვნით ჩვენს სამშობლოს, ლენინ-სტალინის ძლევამოსილ პარტიას, საბჭოთა მიწის საზღვრების დაცვას წმინდა მოვალეობის შესრულებას, მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

გაუმარჯოს და განმტკიცდეს ხალხთა სტალინური მეგობრობა!

გაუმარჯოს აყვავებულ საბჭოთა უკრაინას — ფოლადის ურღვევ ფორპოსტს სსრ კავშირის დასავლეთ საზღვრებზე!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტურ კულტურას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენი ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების შემოქმედს, ჩვენი კომუნისტური მომავლის დროშას, ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

საინფორმაციო ცნობა

14 მაისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა მოხსენებები საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. **მ. ი. ბარამიასი** და საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივნის ამხ. **შ. დ. ნუცუბიძისა** პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **ვ. მ. ძიძიგური** (ზესტაფონის რაიკომი), **გ. ხ. დარაშვილი** (გურჯაანის რაიკომი), **ა. ხ. მელაძე** (ქობულეთის რაიკომი), **შ. ა. ჯაფარიძე** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), **გ. კ. ტივაძე** (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), **გ. ი. მიხანაშვილი** (დუშეთის რაიკომი), **დ. ვ. ალანია** (სოხუმის რაიკომი), **გ. ა. გოჩაშვილი** (ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი), **ვ. კ. ჯიმშელეიშვილი** (ხულოს რაიკომი), **ვ. ვ. სიხარულიძე** (26 კომისრის სახელობის რაიკომი), **ი. კ. თავაძე** (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი).

მოსმენილ მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუცია.

პლენუმმა აირჩია ამხ. **ა. ე. თოფურიძე** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად კადრების დარგში და ამხ. **ი. კ. თავაძე**—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში, შეიყვანა ამხანაგები ა. თოფურიძე და ი. თავაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში და ამხ. **ხ. გ. ხოშტარია**—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატთა შემადგენლობაში.

პლენუმზე ინფორმაციით საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. **ვ. მ. ბაქრაძე**.

ვ. კოკინაკი

მ. გორდიენკო

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგებს სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კალინინს, კაგანოვიჩს, ჟდანოვს, ანდრეევს, მიქოიანს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს

გავფრინდით რა მოსკოვიდან 28 აპრილს პირველ საათსა და ცხრამეტ წუთზე გრინვიჩის დროით, მოვახდინეთ გადაფრენა სსრ კავშირი — ჩრდილო ამერიკა მარშრუტით მოსკოვი — სკანდინავია — ისლანდია — გრენლანდია — ლაბრადორი — ლავრენტის უბე.

თუმცა შესაძლებლობა გვქონდა განგვეგრძო ფრენა, მაგრამ მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო გადავწყვიტეთ შეგვეწყვიტა ფრენა და ძირს დავეშვებულიყავით ღამით მისკოუს კუნძულზე (ნიუ-ბრუნსვიკის პროვინცია).

მატერიალური ნაწილი უნაკლოდ მუშაობდა, საწვავი მასალა დარჩენილი იყო ათას ხუთასი კილომეტრისათვის. სანაპირო კიდურზე დაშვებისას დაზიანებულია ხრახნები და მოტორის მარჯვენა ჩარჩო.

მადლობას ვუძღვნით პარტიასა და მთავრობას ზრუნვისა და ყურადღებისათვის.

კოკინაკი, გორდიენკო.

ნიუ-იორკი

ამხ. ვ. კოკინაკის, მ. გორდიენკოს

მხურვალედ გილოცავთ მოსკოვ-ჩრდილო ამერიკის მარშრუტით შესანიშნავი გადაფრენის კეთილად დამთავრებას.

თქვენმა გადაფრენამ, რომლის დროსაც 22 საათსა და 56 წუთში 8.000 კილომეტრი იქნა დაფარული, ცხადჰყო, რომ საბჭოთა მამაც, გულად მფრინავებს შეუძლიათ წარმატებით გადასჭრან მსოფლიო ავიაციის უძნელესი ამოცანები.

გეხვევით, გისურვებთ ჯანმრთელობას და მაგრად გართმევთ ხელს.

სსრ კავშირის მთავრობის დავალებით

ვ. მოლოტოვი, ი. სტალინი

უშესანიშნავესი გადაფრენა

საბჭოთა ავიაცია დღესასწაულობს თავის უდიდეს გამარჯვებას. სტალინურმა შევარდნებმა ვლადიმერ კოკინაკიმ და მიხეილ გორდიენკომ უმოკლესი ტრანსატლანტური გზით დაუკავშირეს ერთმანეთს მსოფლიოს ორი უდიდესი კონტინენტი.

თავის საუცხოო ფოლადის ფრინველით კოკინაკიმ და გორდიენკომ ჰაერში დაჰყვეს 22 საათსა და 56 წუთს და დაახლოვებით 8 ათასი კილომეტრი გადასერეს ფრენით.

თვითმფრინავ „მოსკოვის“ გმირულმა ეკიპაჟმა ამ შეუდარებელ რეისში გამოიჩინა იშვიათი მამაცობა, ხასიათის სიმტკიცე და რწმენა საკუთარ ძალებისადმი.

ეს გადაფრენა საუცხოოდ იყო მომზადებული. ახალი მანქანა რამდენჯერმე გამოსცადეს წინასწარ. გამოცდამ ცხადჰყო მანქანის საუცხოო თვისებები. ეკიპაჟი მომარაგებული იყო ყველაფრით, რაც კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მისთვის გადაფრენის დროს.

ამხანაგ **სტალინის** მითითებით ყოველგვარი ზომა იყო მიღებული, რათა უზრუნველეყოთ გადაფრენის წარმატებით მიმდინარეობა, ხოლო იძულებითი ძირდაშვების შემთხვევაში სწრაფი ოპერატიული დახმარება.

ეს მზრუნველობა აღაფრთოვანებდა ჩვენ შევარდნებს. მათ იცოდნენ, რომ გაფრენას თვალყურს ადევნებდა მთელი ჩვენი ქვეყანა.

ამ ათი წლის წინათ საბჭოთა მფრინავებმა თვითმფრინავით „სტრანა სოვეტოვ“ მხოლოდ სამოცდაათ დღეში მიაღწიეს ამერიკას. გმირმა, უშიშარმა მფრინავმა კოკინაკიმ კი ისტორიაში პირველად დაუკავშირა ერთმანეთს ორი კონტინენტი ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ასეთი უმოკლესი საჰაერო გზის დადგენა უდიდესი მიღწევაა საბჭოთა ავიაციისა. იგი შედეგია ჩვენი ხალხის წიაღში აღზრდილი გმირების მამაცობისა.

ასეთი გმირობა, ასეთი მამაცობა შეუძლიან მხოლოდ დიადი აწმყოსა და დიადი მომავლის რწმენით აღჭურვილ საბჭოთა ადამიანებს. ამ გადაფრენამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ის, თუ რა უსაზღვროდ ძლიერია ჩვენი დიდი სამშობლო, თუ რა განუსაზღვრელია სტალინური ეპოქის ადამიანების შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ბოლშევიკური კრიტიკისათვის

ხუთი მაისი— ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე—უმნიშვნელოვანესი თარიღია ბოლშევიზმის ისტორიაში. ეს არის მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაული. ამ დღეს გამოვიდა ლენინურ-სტალინური „პრავდის“ პირველი ნომერი. ეს იყო ოცდაშვიდი წლის წინად, 1912 წელს.

1912 წლის „პრავდა“,—ამბობდა ამხანაგი **სტალინი**,—ეს საძირკვლის ჩაყრაა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს“. „პრავდა“ დაიბადა რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობასთან ერთად. ბოლშევიკური პარტიის ეს უბასრესი იარაღი **ლენინმა** და **სტალინმა** გამოსჭედეს. „ბოლშევიკებს მაშინ „პრავდისტებს“ უწოდებდნენ. „პრავდასთან“ ერთად იზრდებოდა რევოლუციური პროლეტარიატის მთელი თაობა, რომელმაც შემდეგში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ჩაატარა. „პრავდას“ მიჰყვებოდნენ ათი-ათასობით და ასი-ათასობით მუშები“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 187).

მთელი თავისი ისტორიის ვრცელ მანძილზე „პრავდამ“ შექმნა და დაამკვიდრა ბოლშევიკური პრესის საუკეთესო ტრადიციები: ღრმა პრინციპიალობა, რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, მასებთან მჭიდრო კავშირი, საბრძოლო ოპერატიულობა, სოციალისტური რევოლუციის საქმისადმი უღრმესი ერთგულება. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა, ასრულებს რა კოლექტიური პროპაგანდისტის, კოლექტიური აგიტატორის, კოლექტიური ორგანიზატორის მაღალ ფუნქციებს, განუყრელად და მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელთა უფართოეს მასებთან, იგი გამოხატავს საბჭოთა ხალხის უგულითადეს მისწრაფებებს და მის უღრმეს სიყვარულს პარტიისა და ხალხთა ბრძენი ბელადის **სტალინისადმი**, მას მიჰქონდა და მიაქვს ხალხის ფართო მასებამდე **ლენინისა** და **სტალინის** უკვდავი იდეები, იგი ასწავლიდა და ასწავლის მშრომელებს უშიშრობასა და თავგანწირულებას ბრძოლაში. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ზრდის და აძლიერებს მტრებისადმი ღრმა სიძულვილისა და შეურიგებლობის გრძნობებს.

ბოლშევიკური პრესის, საბჭოთა პრესის მთელი ისტორია არის შეურიგებელი და გმირული ბრძოლის ისტორია მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მტრების წინაალმდეგ. ბოლშევიკური პრესა აამშკარავებდა და ანადგურებდა ბურჟუაზიის აგენტურას მუშათა კლასის შიგნით, ანადგურებდა სოციალიზმის ყველა მტერს, ლიკვიდატორებს, მენშევიკებსა და ესერებს. ბოლშევიკური პრესა მუდამ შეურიგებლად ებრძოდა და ანადგურებდა ტროცკისტულ-ბუხარინულ ბანდიტებს, ფაშიზმის გათახსირებულ აგენტებს, ჯაშუშებსა და დივერსანტებს.

ასეთია სახელოვანი ტრადიცია ჩვენი ბეჭდვითი სიტყვისა, რომელსაც იგი ყოველთვის მიჰყვებოდა, მიჰყვება და მომავალშიც განუხრელად გაჰყვება.

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობამ, დასახა რა გრანდიოზული ამოცანები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, უდიდესი ამოცანები დააყენა მთელი საბჭოთა ხალხის, ყოველი საბჭოთა პატრიოტის წინაშე. ამ ისტორიულმა ამოცანებმა უფრო მეტად გაზარდეს და განუზომელად აამაღლეს საბჭოთა პრესის როლი და მნიშვნელობა. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა უძლიერესი იარაღია პარტიის ხელში საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებათა საპროპაგანდოდ, უძლიერესი იარაღია იმ ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად, რომლებიც საბჭოთა ხალხის წინაშე, ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის წინაშე დააყენა ამხანაგ **სტალინის** გენიალურმა მოხსენებამ მე-18 ყრილობაზე და ყრილობის ყველა გადაწყვეტილებამ.

საბჭოთა მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები, როგორც განუყრელი ნაწილი ჩვენი ბოლშევიკური პრესისა, მოწოდებული არიან—ეწეოდნენ **ლენინ-სტალინის** უკვდავი იდეების განუწყვეტელ და ღრმა პროპაგანდას. ჩვენ უფრო უნდა გავაფართოვოთ ბოლშევიზმის პროპაგანდა, ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, მათი პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლება. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ჩვენი ლიტერატურის შემდგომი წინსვლა. საბჭოთა მწერალს, ბოლშევიზმის მეცნიერული მსოფლმხედველობით შეიარაღებულს, ახალი ჰორიზონტები ეხსნება, მას ყოველთვის წინ აქვს ფართო პერსპექტივა, მას ესმის მოვლენათა კავშირი, შესწევს უნარი, ყოველი თავისი პრაქტიკული ნაბიჯი შეუერთოს ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზანს. მოწინავე მწერალი, მოწინავე ხელოვანი არის ის, ვინც ღრმად და საფუძვლიანად იცნობს ბოლშევიზმის ისტორიას, თავისი ხალხის ცხოვრებასა და ისტორიას, ვინც ხალხთან ერთად იბრძვის კომუნიზმის მაღალი ფაზის განხორციელებისათვის. საბჭოთა მწერალი სტალინური არმიის მებრძოლია, კარგად შეიარაღებული იდეურად და ნათლად მხილველი ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზნებისა.

საბჭოთა ლიტერატურას უდიდესი მიღწევები აქვს, მაგრამ ამ მიღწევების გამო თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ, არ უნდა გავმედიდურდეთ. ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა ისევე საჭიროა ჩვენთვის, როგორც ჰაერი,— ეს არის ჩვენი წინსვლის საფუძველი. საბჭოთა კრიტიკა ფართო მასების რუპორს უნდა წარმოადგენდეს. საბჭოთა მწერალს, საბჭოთა კრიტიკოსს უპირველეს ყოვლისა უნდა ჰქონდეს ახლის დანახვის გრძნობა, ამ ახლის მძაფრად შეგრძნობის უნარი. ახლის გრძნობას ამხანაგმა სტალინმა თავის გენიალურ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე „თითეული ბოლშევიკური მუშაკის ძვირფასი თვისება“ უწოდა.

ამხ. ა. ფადეევი „პრავდაში“ სწერდა: „ხელოვნების მუშაკებს უნდა გაუღვიძოთ თვითკრიტიკის გემოვნება. კრიტიკის ხელაღებით გაკიცხვა, რასაც ეხლა ადგილი აქვს, ცხადჰყოფს არა მარტო თვითონ კრიტიკის ნაკლოვანებებს, ცხადჰყოფს იმასაც, რომ ხელოვნების მუშაკთა კადრებს შორის დიდად არის გავრცელებული ერთი რამ—ისინი საერთოდ ვერ ითმენენ კრიტიკას... დროა სოციალისტური საზოგადოების ხელოვნების მუშაკებმა ბოლო მოუღონ ინდივიდუალიზმის ნაშთებს თავიანთ წრეში. და, უპირველეს ყოვლისა, დროა ბოლო მოუღონ შიშს კრიტიკისა და თვითკრიტიკის წინაშე, ურომლისოდაც შეუძლებელია რაიმე ნაბიჯის გადადგმა წინ“.

კრიტიკის უგულებელყოფის ნიადაგზე წარმოიშვა ჩვენში ერთი უხეირო ჩვეულება. ეს ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ბოლო ხანებში თითქმის ყველა წიგნი, ყველა მხატვრული ნაწარმოები, მიუხედავად მათი მხატვრული ხარისხის სხვადასხვაობისა, ერთნაირ შეფასებას ღებულობს, ყველა მათგანი ერთი და იმავე იარლიკით შედის „ოქროს ფონდში“, ყველა მათგანი „დიდი მიღწევაა არა მარტო ავტორისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის“. არის შემთხვევები, როცა მწერალს ნაწარმოების ფორმალურ სილატაკეს აპატიებენ და ყველაფერს თემის აქტუალობაში გაუბრიან ხოლმე. არის შემთხვევები, როცა მხატვრული ნაწარმოების სუსტ მხარეებზე თვალსა ხუჭავენ იმ მოტივით, რომ ავტორი სახელოვანი მწერალია. არის შემთხვევები, როცა სუსტი ნაწარმოების წინაშე დათმობაზე მიდიან იმ საბაბით, რომ ავტორი ახალგაზრდაა. არის შემთხვევებიც, როცა შემდეგნაირად მსჯელობენ: მართალია, ნაწარმოები იდეურად ღარიბია, მაგრამ სამაგიეროდ ავტორი სიტყვის ბრწყინვალე ოსტატია.

ასეთი შეფასებების მოწმენი ჩვენ ხშირად ვყოფილვართ. საჭიროა პირველ რიგში გადაჭრით უკუვაგდოთ ეს დათმობანი, საჭიროა ავამაღლოთ მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმი, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ მხატვრულ ხარისხს, მხატვრულ ფორმას, რომელიც ხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებში განუყრელია პოლიტიკური და იდეური შინაარსისაგან. ამა თუ იმ ნაწარმოების ქება მარტო იმისათვის, რომ ის აქტუალურ თემაზეა დაწერილი, არა ღირს. ეს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს. ამას მოითხოვს ჩვენი დიდი ლიტერატურის ყოველდღიურად მზარდი სიცოცხლის უნარიანობა.

ამ ნაკლთა აღმოფხვრაში მეთაური როლი უნდა იკისროს ჩვენმა სამხატვრო-სალიტერატურო პრესამ, რომლის გარშემოც დარაზმულია ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი კრიტიკის ყველა სასიცოცხლო და მომქმედი ძალა. მთელი ჩვენი ძალღონე უნდა დავძაბოთ იმისათვის, რომ დავდგეთ მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანების სიმაღლეზე.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ 11 მაისს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს საჰაერო კატასტროფის შედეგად, უდროოდ დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის გმირები, ამხანაგები— ანატოლ კონსტანტინეს-ძე სეროვი და პოლინა დენისის-ასული ოსიპენკო, და თავის ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.

ა. სეროვი

პ. ოსიპენკო.

საბჭოთა კავშირის გმირების ანატოლი სეროვისა და პოლინა ოსიპენკოს დაკრძალვა

კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც მაღალ პოსტამენტზე ყვავილების ზღვაში დასვენებულია ჰაერის უშიშარ რაინდთა, ხალხის საყვარელ ადამიანთა—ანატოლი სეროვისა და პოლინა ოსიპენკოს ნეშტთა ურნები, დაუსრულებლად მოდის უამრავი ხალხი. სამგლოვიარო მდუმარების დაურღვევლად დაღუპულ გმირთა ნეშტთან ღრმად დამწუხრებულნი მოდიოდნენ ავიატორები, წითელი არმიის მეთაურები და მებრძოლები, მუშები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოწაფეები და ბავშვები. გაისმის სამგლოვიარო მარშის მწუხარე ხმები. იცვლება საპატიო ყარაული.

16 საათსა და 30 წუთზე განსვენებულთა მეგობრებს გამოაქვთ წითელი და შავი ლენტებით შემკული ცოცხალი ყვავილების გვირგვინები და ექვსი ალისფერი ბალიში—საბრძოლო ორდენებით, რომლებითაც მთავრობამ აღნიშნა სეროვისა და ოსიპენკოს გმირობა და მათი უსაზღვრო ერთგულება თავისი საყვარელი სამშობლოსადმი, რომლის სასახელოდაც ისინი მსოფლიოს განმაცვიფრებელ საგმირო საქმეებს სჩადიოდნენ.

მთავრობის კომისიის წევრები, დაღუპულ გმირთა ამხანაგები და მეგობრები ხელში იღებენ ალისფერ კატაფალკებს ურნებითურთ, რომლებშიაც მოთავსებულია ნეშტი ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი სახალხო გმირებისა, შესანიშნავი მფრინავებისა, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ლენინ-სტალინის საქმეს, თავის ხალხს, თავის მშობლიურ მთავრობას.

სამგლოვიარო პროცესია კავშირთა სახლიდან წითელი მოედნისაკენ გაემართა. 16 საათსა და 55 წუთზე პროცესია საისტორიო მუზეუმის მხრიდან გამოჩნდა, მან გარს შემოუარა ტრიბუნებს და კრემლის ძველი კედლის გაყოლებით მოედნის ცენტრისაკენ გაემართა. პროცესიას წინ უძღოდა ცოცხალი ყვავილების გვირგვინები, ანატოლი სეროვისა და პოლინა ოსიპენკოს პორტრეტები. პორტრეტებიდან ისინი გამოიყურებოდნენ — ცოცხალნი, ძლიერნი, მომხიბლველნი.

ამ მომენტში წითელ მოედანს სწრაფად გადაუქროლა თავს ავიაგამანადგურებელთა რამდენიმე რგოლმა. მოტორების გუგუნი საპირველმაისო საჰაერო პარადს გვაგონებს. ასეთი მანქანებით გადაუქროლეს წითელ მოედანს ამ 14 დღის წინათ ანატოლი სეროვმა და პოლინა ოსიპენკომ და მოზეიმე ქალაქი თავიანთი ოსტატობით გააოცეს.

მოსკოვი, მთელი ჩვენი ქვეყანა მიწას აბარებს თავის სახელოვან სტალინურ შევარდნებს. წითელ მოედანზე შეიკრიბნენ ჯარის ნაწილები, დედაქალაქის მშრომელთა დელეგაციები. ისინი მოვიდნენ, რათა მთელი ხალხის სახელით უკანასკნელი ვალი მოიხადონ სტალინის მიერ გამოზრდილი ლეგენდარული საბჭოთა მფრინავების წინაშე, რომელთა სახელებიც მარად ცოცხალი იქნება.

სახალხო გმირთა ნეშტი მათს უკანასკნელ გზაზე გააცილეს ამხანაგებმა: სტალინმა, მოლოტოვმა, ვოროშილოვმა, კალინინმა, კაგანოვიჩმა, ჟდანოვმა, ანდრეევმა, მიქოიანმა, ბერიამ, შვერნიკმა, მალენკოვმა, მეხლისმა, ბუდიონიმ, ბულგანინმა, შჩერბაკოვმა.

პროცესია გაჩერდა მოედნის ცენტრში, ლენინის მავზოლეუმის პირდაპირ. უკვდავ გმირთა ნეშტის ურნებს სამგლოვიაროდ მორთულ პოსტამენტებზე სდგამენ. წითელი მოედანი სამგლოვიარო დუმილმა მოიცვა. ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ჟდანოვი, ანდრეევი, მიქოიანი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, მეხლისი, ბულგანინი, ბუდიონი, შჩერბაკოვი, საბჭოთა კავშირის გმირები: შევჩენკო, გრიზოდუბოვა, რასკოვა, ალექსანდრე ოსიპენკო ტრიბუნაზე ადიან.

17 საათზე იხსნება საბჭოთა კავშირის გმირების ანატოლი სეროვისა და პოლინა ოსიპენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით პირველ სიტყვას ამბობს თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე ამხანაგი ლ. ზ. მეხლისი.

შემდეგ მოსკოვის საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის სახელით გამოდის ამხ. ა. ს. შჩერბაკოვი.

მფრინავთა და საბჭოთა კავშირის გმირთა სახელით გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, ამხ. ვ. შევჩენკო.

მიტინგი დამთავრდა. ამხანაგი სტალინი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნი, სამხედრო მფრინავები ხელში იღებენ ურნებს და კრემლის კედლისაკენ მიაქვთ. დიდი ბელადისა და მის თანამებრძოლთა გვერდით მიდიან პოლინა ოსიპენკოს თანამებრძოლი ამხანაგები— ვალენტინა გრიზოდუბოვა და მარინა რასკოვა, პოლინას ქმარი—საბჭოთა კავშირის გმირი ალექსანდრე ოსიპენკო და ანატოლი სეროვის თანამებრძოლი მეგობარი — საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ შევჩენკო.

17 საათსა და 30 წუთზე ანატოლი სეროვისა და პოლინა ოსიპენკოს ნეშტის ურნებს კრემლის კედელს აბარებენ. გრიალებს სალუტი. სამგლოვიარო მელოდიას სცვლის „ინტერნაციონალი“. მავზოლეუმს ჩაუარა საპატიო სამხედრო ესკორტმა. წითელი არმია მთელ ხალხთან ერთად უკანასკნელ ვალს იხდის საყვარელ ადამიანთა წინაშე.

საბჭოთა ხალხი მარად პატივისცემით მოიხსენიებს ანატოლი სეროვისა და პოლინა ოსიპენკოს სახელებს, რომლებმაც განასახიერეს მისი საუკეთესო თვისებანი — უშიშრობა, ენერგია, ნიჭი და თავმდაბლობა.

ერთიანი ბიბლიოთეკა

ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

შევჩენკო და ქართული ლიტერატურა

ამხ. ალიო მაშაშვილის მოხსენება

ხალხს, რომელსაც აწმყოსა და მომავლის უდიდესი იდეები ამოძრავებს, კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების უდიდესი უნარიც აქვს.

ასეთია დიადი საბჭოთა ხალხი.

წარსულის კლასიკური მემკვიდრეობის ბატონ-პატრონი საბჭოთა ხალხია, ვინაიდან ყველაფერი კარგი, რაც აზროვნებისა და ხელოვნების სფეროში კაცობრიობას შეუქმნია, მშრომელ ხალხს ეკუთვნის. წარსული კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისებით საბჭოთა ხალხი ანვითარებს თავის სოციალისტურ კულტურას, ხელოვნებასა და მწერლობას. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიზეიმეთ დიდი რუსი ხალხის გენიალური მომღერლის პუშკინის იუბილე, ვიზეიმეთ შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ოვანეს თუმანიანის და სხვათა იუბილეები.

ამ წელს ჩვენ ვზეიმობთ უდიდესი უკრაინელი პოეტის ტ. შევჩენკოს სახელოვან იუბილეს. ეს იუბილე სიხარულის დღეა არა მარტო უკრაინის ხალხისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის (ტაში). სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებამ დიდი გასაქანი მისცა წინათ დაჩაგრულ ხალხთა ხელოვნების და მწერლობის აღორძინებას. ცოცხლდებიან და სულ სხვა იერით სდგებიან ჩვენს წინაშე წარსულის კლასიკოსები. დიადმა საბჭოთა ხალხებმა წარსულში ხალხისავე სურვილისა და ნების გამომსახველი ადამიანები, მწერლები, ძლევამოსილი კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში გვერდით ამოიყენეს.

უკრაინისა და ქართველი ხალხის მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელობა აჩაღებდა ხალხთა შორის შუღლსა და მტრობას, ეს ხალხები მაინც ისწრაფვოდნენ კულტურული დაახლოებისაკენ. მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი ცხოვრობდა და ჰქმნიდა აქ, უკრაინაში. მის მრავალ ნაწარმოებში იგრძნობა უკრაინული ხალხური მოტივები.

სახალხო რევოლუციისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივი აერთიანებდა ქართველ სახელოვან პოეტს აკაკი წერეთელს ტარას შევჩენკოსთან. აკაკი წერეთელმა და სხვა მისმა თანამოკალმეებმა პირველად აღაგზნეს ქართველი ხალხის გულში ტარას შევჩენკოსადმი სიყვარული და პატივისცემა. მიუხედავად ამ ორი დიდი პოეტის სოციალური მდგომარეობის სხვაობისა, მათი შემოქმედების მოტივი, თემა, ხალხური მეტყველება ძალზე ახლო კავშირში არიან, თითქმის ერთმანეთს ჰგვანან. აკაკი წერეთელი პირადად იცნობდა ტარას შევჩენკოს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი-პოეტები და საზოგადო მოღვაწეები, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა რევოლუციურ მოაზროვნეთა იდეებით გატაცებულნი, ცხადია, ტარას შევჩენკოს ცეცხლით აღგზნებულ ლექსებს დაეწაფებოდნენ. არსებობს ფაქტი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის შეხვედრისა ტარას შევჩენკოსთან. ეს მოხდა 1859 წელს სტუდენტ აკაკი წერეთლის ჩასვლისას პეტერბურგში პროფესორ კოსტომაროვის ბინაზე. უკრაინის მხცოვან პოეტს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ახალგაზრდა აკაკიზე. ტარას შევჩენკო დიდხანს ესაუბრა თურმე ა. წერეთელს ქართველი ხალხის მაშინდელ ყოფა-ცხოვრებაზე და ლიტერატურაზე. ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი-პოეტის აკაკი წერეთლის პირით ეცნობოდა რა ქართველი ხალხის შავ-ბნელ წარსულს და მაშინდელ საქართველოს მძიმე მდგომარეობას, ტარას შევჩენკო ნაღვლიანად დასძენდა თურმე: „რა ბევრი რამ არის საერთო ქართველ ხალხსა და უკრაინის ხალხს შორისო“.

ახალგაზრდა ქართველ პოეტს ფიზიკურად მოტეხილ, მაგრამ სულიერად ძლიერი მოხუცის ხმაში ესმოდა მაშინდელი დამონებული უკრაინის ხალხის მებრძოლი ხმა. „შევჩენკო, — იგონებს აკაკი, — ლაპარაკობდა მწუხარე, ნაღვლიანი ხმით, მაგრამ გაცხოველებულად და მე მასში ვერ ვიცანი მოხუციო.“ აკაკი წერეთელი მხოლოდ ერთხელ შეხვდა უკრაინის დიდ პოეტს, მაგრამ ამ შეხვედრამ დაუვიწყარი გავლენა იქონია ქართველ პოეტზე. ტარას შევჩენკოს დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებულ საიუბილეო სალამოს დასწრებია სახელოვანი პოეტი აკაკი წერეთელი. იგი მისასალმებელი სიტყვით გამოსულა ამ სალამოზე. მან სხვათა შორის მოიგონა თურმე შევჩენკოსთან შეხვედრა: „მხოლოდ პირველი და უკანასკნელი შეხვედრა ჩარჩა ჩემს გულში ნათელსხივოსან მოგონებად მთელ ჩემს ცხოვრებაში. უნდა გამოვტყდე, რომ პირველად გავიგე მისი სიტყვებიდან, როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და მისი ხალხი“.

1908 წელს, როდესაც აკაკი წერეთლის იუბილეს უხდიდნენ ბაქოში, უკრაინის დელეგაციამ მას საჩუქრად მიართვა ტარას შევჩენკოს სურათი. აღფრთოვანებული მგოსანი ასეთი სიტყვებით მიმართავს სტუმრებს: „მე მუსიკაზე მწყრალად ვარ, არ მწყალობს ამ მხრივ ბუნება და ამ ნაკლს მივსებდა ყოველთვის შევჩენკო. მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატვრა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე, მას უკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემს კაბინეტში შეუყლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდილამდის იცხოვრებს ჩემთან“.

ტარას შევჩენკოს მქუხარე ლექსები უსათუოდ გამოძახილს ჰპოვებდნენ აკაკი წერეთლისა და მისი თანამოკალმეების შემოქმედებაში. სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის, სახალხო აღშფოთების, ეროვნული განთავისუფლების, ხალხთა მეგობრობისა და უწმინდესი პატრიოტიზმის მოტივი ანათესავებდა შევჩენკოს მე-19 საუკუნის ქართველ პოეტებთან. აკაკი წერეთლის ისტორიული ნაწარმოებნი — „ბაში აჩუკი“, „ნათელა“ და სხვები — თითქმის ისეთსავე მიზანს ისახავენ მშობლიური ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხში, როგორსაც ტარას შევჩენკოს „გამალია“, „გაიდამაკები“ და სხვ. აკაკი წერეთლის ლექსები „ხანჯალი“, „უკანასკნელი ნატვრა“, „ძის“ ძალიან გვანან შევჩენკოს პოლიტიკური შეურიგებლობით აღგზნებულ ლექსებს: „ჩემის ყელში მაქვს ხანჯალი“, „ვლახაკი“, „ისევ ვგრძნობ ძალას“, „თუმცა წაქცეულს არა სცემენ“ და სხვ. შევჩენკო თავის შესანიშნავ პოემაში „კავკასში“ კავკასიის ხალხის მდგომარეობას ადარებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეოსს, რომელიც მალე დალეწს ბორკილებს და ხალხს თავისუფლებას მოუტანს. აკაკიც ამავე აზრს გამოსთქვამს „სიმღერაში მიჯაჭულ ამირანზე“ („თორნიკე ერისთავი“). შევჩენკოს სტრიქონები „კავკასიდან“:

„ძველთაგანვე პრომეთეოსს
აქ არწივი სძიძგნის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს
ნაკადული სისხლის.
ეწაფება და ვერ აშრობს
სისხლის ცხოველ წყაროს.
გული ისევ მოცოცხლდება,
ძველებურად ხარობს“, —

ძალიან გვაგონებენ აკაკის სტრიქონებს, რომელსაც საბერძნეთიდან დაბრუნებული გამარჯვებული ქართველი ჯარი მღერის სამშობლოში შემოსვლის დროს:

„კავკასიის ქედზედ იყო
ამირანი მიჯაჭული,
ყვავ-ყორანი ესიოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული“.

შევჩენკოს სწამს კავკასიის ხალხის მომავალი, მას სწამს რომ აღსდგება პრომეთეოსი, „აღსდგება სიმართლე, აღსდგება თავისუფლება, და მას საუკუნოდ ადიდებს ხალხი“.

ასევე ამბობს აკაკიც:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,
სიხარულად შეიცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი“.

როგორც ხედავთ, გმირული პათოსი, განწყობილება და მიზანდასახულობა ამ ორი ნაწარმოებისა ერთია. თითქოს აკაკის ეს სიმღერა ტარას შევჩენკოს „კავკასის“ გამოძახილიაო. შევჩენკოს ლექსი „კვლავ არაფერი მოგიტანია, უკრაინიდან მოსულო ფოსტა“ მაგონებს აკაკის „სალამურს“, „ვარდის ხმაზე“-ს და სხვას. შევჩენკოს პოემების გმირები გამალია და იარემა („გაიდამაკები“), შემდეგში გალაიდად წოდებული, ძალიან გვანან წერეთლის ქართველ გმირს ბაში აჩუკს.

შევჩენკოს პოეზიის მოტივი ისმოდა აგრეთვე მეორე ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის ლექსებსა და პოემებში. მაგალითად, თავისი ლექსალური კონსტრუქციით, ფორმით და მიზანდასახულობით ჭავჭავაძის „აჩრდილი“ გვაგონებს შევჩენკოს „სიზმარს“ ან „ისაიას მე-14 თავის მიბაძვას“. როგორც შევჩენკოს „სიზმარსა“ და „ისაიას მიბაძვაში“, ისე ჭავჭავაძის „აჩრდილში“ არის გოდება მშობლიური ქვეყნის გმირულ წარსულზე და შავბნელ აწმყოზე და რწმენა ნათელი მომავლისა. გავიხსენოთ ადგილები ილიას „აჩრდილიდან“.

„აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლით სასწორზე ხარჯს უწონს ძნელსა,
და რა დასწორდა სასწორზე წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა ორად ხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ზრდის,
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება
შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუსგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდან სად გაჰყიდიან“.

და შევადაროთ შევჩენკოს პოემის ადგილებს „სიზმრიდან“:

„თავადებს ბლარტნი რით შემოსონ? რაფერ?
ლატაკს ტანზე ხდიან, პერანგს სისხლში ნაფერს,
ტყავთან ერთად ხდიან.... აქ აწამეს ქვრივი,
ბეგარა ვერ შესძლო, შვილიც შებორკილი,
ეს ნუგეში ერთი, საწყალს ვინ ჰყავს მეტი?
სადღაც ჯარში მიჰყავთ... მწარე, მწარე ბედი...
ჰო, ცოტა ჰყავთ ჯარი... აი ღობის ძირში
დაგდებული ბავშვი გაუზერავს შიმშილს.
ის სულს ღაფავს მარტო... და დედა კი მაშინ,
ოფლს ღვრის საბატონო ჯეჯილების მკაში“.

ი. ჭავჭავაძის სხვა გმირები და გმირი ქალები: ზაქრო, გაბრო; კაკო, თამრო და სხვა გვაგონებენ იარემას, გამალიას, ოქსანას, კატერინას.

შევჩენკოს პოეზიას კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ აგრეთვე მე-19 საუკუნის სხვა ისეთი ქართველი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ.

დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ტარას შევჩენკოს პოემები და ლექსები ხალხში. 1911 წელს, შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლის იუბილეს დღეებში ქართველმა ხალხმა თავის მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღო.

თარგმანებით და პოეტისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ მაშინ პოეტები სილოვან ხუნდაძე, იასამანი, შანშიაშვილი, მჭედლიშვილი, ქუჩიშვილი, ბაბილინა და სხვები.

1914 წელს კი როდესაც უნდა გამართულიყო შევჩენკოს დაბადებიდან 100 წლის იუბილე და მეფის მთავრობამ იგი აკრძალა, ქართველი ხალხი და მწერლები თანაგრძნობით შეუერთდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ უკრაინის ხალხის საპროტესტო დემონსტრაციას.

ტარას შევჩენკოს პოეზიის გამოყვანა წარსულის სიბნელიდან მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო. თუ ტარას შევჩენკოს მგზნებარე პოეზია აქტიურად ეხმარებოდა უკრაინისა და რუსეთის ხალხებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, შემდეგ, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებაში, დღეს იგი ეხმარება ჩვენი ქვეყნის კომუნიზმში გადასვლას.

ქართველი საბჭოთა ხალხი და ლიტერატურული საზოგადოებრიობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლის იუბილეს.

მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურების ურთიერთგაცნობისა და დაახლოების მიზნით ქართველი მწერლები ჩაბმულნი არიან თარგმნის საქმეში. თანამედროვე ცნობილმა ქართველმა პოეტებმა სთარგმნეს მთლიანად უკრაინის დიდი პოეტის, ჩვენი სახელოვანი იუბილარის ტარას შევჩენკოს მთელი „კობზარი“. ამ ფრიად დიდ საპატიო მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა: ს. ჩიქოვანმა, კ. ლორთქიფანიძემ, იასამანმა, პატარიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, კ. ნადირაძემ და სხვებმა. წიგნი გამოიცა სახელგამის მიერ. მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „ფედერაციამ“ გამოსცა პოემები: „სიზმარი“, „გაიდამაკები“, „კატერინა“ და სხვ. ასევე გამომცემლობა ამზადებს დასაბეჭდად ქართველი მწერლებისა და კრიტიკოსების წერილებსა და მონოგრაფიებს, მიძღვნილს ტარას შევჩენკოსადმი. საბავშვო გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა ბავშვებისათვის შევჩენკოს პოემების კრებული. სულ საქართველოში გამოვიდა 6 წიგნი.

მწერალთა კავშირის ხაზით, საიუბილეო სალამოს გარდა, გაიმართა ორმოცამდე სალამო, მიძღვნილი ტარას შევჩენკოსადმი. ქართველი საზოგადოებრიობა დიდის სიყვარულით ხვდება ამ სალამოებს. შევჩენკოსადმი ქართველი ხალხის სიყვარული და გატაცება იმითაც მტკიცდება, რომ პოეტის წიგნის თარგმანი „კობზარი“ რამდენიმე თვის განმავლობაში გაიყიდა.

შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსები და პოემები დასწერეს პოეტებმა: ვ. გორგაძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, იასამანმა, ბობოხიძემ, ჯაბუშანურმა, სანდრო ეულმა, მ. მრევლიშვილმა, გ. კაჭახიძემ, რ. გვეტაძემ და სხვებმა. ორდენოსანმა მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ დასწერა სცენარი ხალხთა მეგობრობის თემაზე, უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეთა შეჯიბრების ფონზე. სცენარი მიღებულია დასადგმელად.

შევჩენკოს მრავალი ლექსი გადატანილია მუსიკაზე ცნობილი ქართველი კომპოზიტორების — არაყიშვილის, გოკიელის და სხვათა მიერ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირებმა გამოსცეს შევჩენკოს ნაწარმოებთა რჩეული კრებულები.

შევჩენკოს საიუბილეო კომიტეტის მიერ აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა უკრაინის უდიდესი პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად ტფილისის ერთ-ერთ ქუჩას და ერთ რუსულ სკოლას დაერქვას შევჩენკოს სახელი. იმ ბაღში, სადაც სდგას რუსი ხალხის შესანიშნავი ოსტატების ალ. პუშკინისა და გოგოლის ძეგლები, დაიდგმება ტარას შევჩენკოს ძეგლიც (ტაში).

ტარას შევჩენკო იდეურ-პოლიტიკური აზროვნებით მოწინავე პოზიციებზე იდგა. ტარას შევჩენკოსაგან ჩვენ ვსწავლობთ იმ პოლიტიკურ სიმახვილეს პოეზიაში, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროა დღეს ჩვენთვის. ტარას შევჩენკოს შემოქმედება უფრო ამტკიცებს ხალხური ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის გრძნობას ჩვენს პოეზიაში. და, რაც მთავარია, ტარას შევჩენკოსაგან ჩვენ ვსწავლობთ ხალხის აზრთან და გრძნობასთან ენის დაკავშირებას, ხალხურობას. ხალხური ენით გამოთქმული პოეზია უკვდავია და ძლიერი. მაღალი იდეების გამოთქმა ნათლად და ხალხისათვის გასაგებად ძნელი საქმეა. იგი მწერლისაგან მაღალ მხატვრულ ნიჭსა და ოსტატობას მოითხოვს. ამით უხვად დაჯილდოებული იყო შევჩენკო. შევჩენკო ისეა უკრაინის ხალხისათვის, როგორც პუშკინი და ნეკრასოვი რუსი ხალხისათვის, როგორც ადამ მიცკევიჩი პოლონელი ხალხისათვის, როგორც ილია და ვაჟა ქართველი ხალხისათვის და სხვ. უკვდავია ტარას შევჩენკო, რადგან უკვდავია მისი მშობელი უკრაინის დიდი ხალხი (ტაში).

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად განმტკიცდა და გაიზარდა ქართული საბჭოთა მწერლობა. უდიდეს წარმატებას აღწევს ქართული მწერლობის თითქმის ყველა დარგი: ლირიკა, პროზა, დრამა, ეპოსი და სხვ. ქართული მწერლობის წარმტაც თემებად იქცნენ დიადი სოციალისტური სამშობლო, სტალინური კონსტიტუცია და სხვ. ქართველი მწერლობა თავის ლექსებსა და პოემებში ცდილობს გამოსახოს ამხანაგ **სტალინის** სახე. ამ თემაზე საუკეთესო ლექსები დასწერეს პოეტებმა: ლეონიძემ, ჩიქოვანმა, ეულმა, მოსაშვილმა, შანშიაშვილმა, აბაშელმა, გრიშაშვილმა და სხვ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების ისტორიის მოკლე კურსი, რომელიც აიარაღებს ყოველ მწერალს ჭეშმარიტი რეალიზმის ბასრი იარაღით, საფუძვლად დაედო მრავალ პოემას, ლექსსა და მოთხრობას. ეს შრომა ნათელ შუქს ფენს რევოლუციური მარქსიზმის წარმოშობასა და გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში. იგი მიგვითითებს ჩვენ, მწერლებს, ღირსშესანიშნავ და მდიდარ თემებზე, ხალხის საყვარელ გმირებზე, რომელნიც აღზარდა და გამოაწრთო ლენინ-სტალინის პარტიამ.

ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** შესანიშნავმა შრომამ — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“ უფრო გააფართოვა ქართული მწერლობის სარბიელი ამ მიმართულებით. ამ შრომამ, რომელშიაც ასახულია ა/კ ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით და ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელი როლი ამ ბრძოლაში, უდიდესი გასაქანი მისცა ქართულ მწერლობას. ამ თემაზე დაიწერა მრავალი ლექსი, დრამა და პოემა. მათ შორის აღსანიშნავია შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, რომელიც დღემდე დიდი წარმატებით მიდის ქართული თეატრების სცენაზე. ამ პიესაში მოცემულია ქართველი ხალხის ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 1902-6 წლებში ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით. პიესის ფინალს აგვირგვინებს მუშათა კლასის ორი ბელადის **ლენინისა** და **სტალინის** შეხვედრა ტამერფორსის კონფერენციაზე. ეს პიესა დიდის წარმატებით მიდის აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების თეატრების სცენაზე.

ამიერ-კავკასიის მუშათა ბრძოლასა და მასში დიდი სტალინის ხელმძღვანელ როლის თემაზეა დაწერილი ახალგაზრდა პოეტის გ. აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“, ალ. გომიაშვილის „ლადო კეცხოველი“ და სხვა მრავალი. ამხანაგ **სტალინის** ყრმობისა და ბავშვობის თემაზე დაიწერა გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“, სიმონ ჩიქოვანის „გორის ციხე“, კ. გამსახურდიას რომანი „ბელადი“ და დემნა შენგელაიას რომანი „ყრმობა“.

საბჭოთა პატრიოტიზმის, საკოლმეურნეო სოფლის სოციალისტური ინდუსტრიისა და საბჭოთა ინტელიგენციის თემაზე დაიწერა მრავალი ლექსი, პიესა, პოემა და რომანი. აღსანიშნავია ამ მხრივ პ. კაკაბაძის პიესა „კოლმეურნის ქორწინება“, ალ. შანშიაშვილის პიესა „ფოლადაური“, იონა ვაკელის პიესა „შური“, გ. მდივანის „სამშობლო“, ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“, მთვარაძის „მთაგრეხილზე“ და სხვ.

სოფლად სოციალისტური მეურნეობის გამარჯვებასთან დაკავშირებით წარმომდგარი პრობლემა გლეხის შეგნებაში კერძო საკუთრების ისტორიის აღმოჩენისა და [illegible] მწერლებისათვის. ამ [illegible] ახალ და რთულ პრობლემას ეხება კ. ლორთქიფანიძის „იმერეთი“, ჩხიკვაძის „ახალი ხმელეთი“, ალ. ჭეიშვილის „ლელო“ და სხვა.

სოციალური სიღრმით, თემატიური აქტუალობით და საკოლმეურნეო ცხოვრების რეალისტური ასახვით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლეო ქიაჩელის ახალი რომანი „გვადი ბიგვა“. ეს რომანი წარმოადგენს ქართული მწერლობის ერთ-ერთ დიდ მიღწევას უკანასკნელ წლებში. პროზის დარგში აქტიურად მუშაობენ რ. გვეტაძე, ი. ლისაშვილი, ა. ბელიაშვილი, ლ. ბალიაური და სხვ.

უსათუოდ ნაყოფიერ და ნიჭიერ მწერლად ითვლება კ. გამსახურდია, მხოლოდ მან თავისი შემოქმედებითი კურსი უფრო მეტად უნდა მიმართოს თანამედროვე თემატიკისაკენ. ამის შეძლება და უნარი მას აქვს.

ქართველი ხალხის, ბოლშევიკური პარტიის თავდადებული ბრძოლა ქართველი მენშევიკების უღლეური ბატონობის წინააღმდეგ, მშვენიერად აქვს გამოხატული ალ. ქუთათელს თავის რომანში „პირისპირ“.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა ფართოდ გამოეხმაურა ისტორიულ თემებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ქვარიანის რომანი გ. სააკაძის შესახებ — „დიდი მოურავი“. ამავე თემაზე და ამავე სათაურით რუსულ მწერლობაში დაიწერა ა. ანტონოვსკაიას რომანი. ახლახან გამოქვეყნდა კ. გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, რომელიც ეხება მცხეთის ტაძრის ამშენებელს კონსტანტინე არსაკიძეს. იბეჭდება შ. დადიანის ისტორიული რომანი „ურდუმი“, რომელიც ეხება მე-19 საუკუნის გლეხურ მოძრაობას საქართველოში.

ქართველი დრამატურგები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ გ. სააკაძის პიროვნებისადმი. ი. ვაკელმა, ს. შანშიაშვილმა და უ. ჩხეიძემ დასწერეს პიესები, რომლებშიც გამოხატულია საქართველოს ისტორიის ყველაზე უფრო ტრაგიკული ეპოქა—მე-17 საუკუნე. ს. შანშიაშვილის პიესა „არსენა“ და ა. ხახუტაშვილის რომანი „იოსებ ლაღიაშვილი“ ეხებიან თვითმპყრობელობასთან ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიას.

საბჭოთა მწერლობამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში. უფრო მეტი უნდა იწერებოდეს თავდაცვითს თემებზე. სამწუხაროდ, ამ თემაზე დაწერილი, გარდა ლირიკული ხასიათის ლექსებისა, დიდი ნაწარმოები ცოტაა. ქართველმა მწერლობამ უნდა გააძლიეროს მუშაობა ამ მიმართულებით.

ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას დღითი-დღე ემატება ახალი ლიტერატურული კადრები. აბაშიძის, გომიაშვილის, კაჭახიძის გვერდით წამოიზარდნენ ახალგაზრდა პოეტები. მათ შორის აღსანიშნავია ამისულაშვილი, კალანდაძე, საჯაია, ისიანი, ჯაბუშანური, გელოვანი, მარგიანი, გ. გაჩეჩილაძე, მ. მრევლიშვილი და სხვ.

იზრდება და ვითარდება ქართული საბავშვო მწერლობაც. ამ დარგში აქტიურად მუშაობენ პოეტები და პროზაიკოსები ნ. ნაკაშიძე, მარიჯანი, ლ. ქიაჩელი, გ. კაჭახიძე, ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, მოსაშვილი და სხვ., ახალგაზრდა დრამატურგები: ნახუცრიშვილი, ბერძენიშვილი და სხვ.

საბჭოთა კრიტიკის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ რადიანი, ასათიანი, ჟღენტი, ბენაშვილი, გაწერელია, ნატროშვილი, სულავა, წულუკიძე.

ქართული მწერლობის ისტორიის ჩამოყალიბებისათვის შესანიშნავი მუშაობა ჩაატარეს ჩვენი კრიტიკის უფროსი თაობის წარმომადგენლებმა პ. ინგოროყვამ, გ. ქიქოძემ და სხვ.

მიუხედავად ამისა, კრიტიკა მაინც ვერ სარგებლობს ჩვენში იმ ავტორიტეტით, რომელიც საჭიროა საერთოდ მწერლობის განვითარებისათვის. ეს, ერთის მხრივ, აიხსნება ზოგიერთი კრიტიკოსის თვით არაკრიტიკული და არასერიოზული მიდგომით ნაწარმოებისადმი, ხოლო მეორეს მხრივ—თვით მწერლების უდიერი და მოუთმენელი დამოკიდებულებით კრიტიკოსებისადმი.

სამწუხაროდ, ჩვენ კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთის ლიტერატურას. ჩვენ ფართოდ უნდა მოვაგვაროთ თარგმნის საქმე. გამომცემლობებმა თავიანთ საგამომცემლო გეგმებში უნდა შეიტანონ მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ნაშრომებიც. საქ. მწერალთა კავშირის ორგანომ „ლიტ. გაზეთამ“ ამ მხრივ უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა. ამ გაზეთის ფურცლებზე ნაკლებად ვხვდებით მოძმე რესპუბლიკათა მწერლობის და მათ შორის ქართული მწერლობის ნიმუშების თარგმანებს. რუსული ჟურნალები „ნოვი მირი“, „ზვეზდა“ და „კრასნი ნოვი“ მეტს ინტერესს იჩენენ მოძმე რესპუბლიკების მწერალთა თარგმანებისადმი. ამ ჟურნალებში ხშირად ვხვდებით ტიხონოვის, ანტოკოლსკის და სხვა პოეტების მშვენიერ თარგმნებს. „ლიტ. გაზეთამ“ არ უნდა დაიმუროს გვერდი მოძმე ლიტერატურათა მიღწევების გამოვლინებისათვის. არა მარტო თარგმანები, არამედ წერილებიც უნდა იბეჭდებოდეს აქ მწერლობაზე. ამით „ლიტ. გაზეთა“ უფრო გააფართოვებს ურთიერთ გაცნობის ასპარეზს საბჭოთა მრავალენიან მწერლობას შორის.

წელს მოსკოვში სახელგამი დიდ საქმეს აკეთებს, იბეჭდება და გამოვა ძველი და ახალი ქართული პოეზიის ანთოლოგია. ალექსი ტოლსტოის ინიციატივით და რედაქტორობით ლენინგრადში იბეჭდება და გამოდის აგრეთვე ქართული მწერლობის ისტორია. უკრაინის გამომცემლობამ უკვე დაამზადა დასაბეჭდად ძველი და ახალი ქართული პოეზიის ანთოლოგია. საქართველოს სახელგამი სცემს უკრაინის მწერლობის ანთოლოგიას, რუსული მწერლობის ანთოლოგიას, სამხრეთ ოსეთის მწერლობის ანთოლოგიას და კ. ხეთაგურის ლექსებისა და პოემების წიგნს. ამავე გამომცემლობაში, სხვათა შორის, გამოიცა მაიაკოვსკის, ჯამბულის, პუშკინის და სხვათა ნაწარმოებები, გამოიცა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. მწერლები ლორთქიფანიძე, კალაძე, ჩიქოვანი, გვეტაძე, ლეონიძე, ჭიჭინაძე, მოსაშვილი სთარგმნიან სომეხ ხალხის უდიდეს ეპოსის „დავით სასუნცის“ თარგმანი დამთავრდება და წიგნად გამოვა „სასუნცის“ იუბილესათვის. მზადდება გამოსაცემად ლერმონტოვის თხზულებანი. კ. გამსახურდიამ იტალიურიდან სთარგმნა დანტეს „სალხინებელი“, ხოლო კ. ჭიჭინაძესთან ერთად — „ჯოჯოხეთი“, რომლებიც გამოსცა სახელგამმა. გამოიცა ლონგფელოს „სიმღერა ჰაიავატაზე“—მ. პატარიძის და გ. გაჩეჩილაძის თარგმანი. სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირი სცემს უკრაინის ლიტერატურის ანთოლოგიას.

რუსთაველის თეატრი სდგამს უკრაინელ დრამატურგ-აკადემიკოსის კორნეიჩუკის პიესას „ბოგდან ხმელნიცკი“.

შ. ალეიხემის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირში ჩამოყალიბდა საიუბილეო კომისია. მოეწყობა იუბილესადმი მიძღვნილი სალამოები. მწერალთა კავშირის გამომცემლობაში „ფედერაციაში“ მზადდება გამოსაცემად ალეიხემის რჩეულ მოთხრობათა კრებული. ახალგაზრდობის საბავშვო გამომცემლობა ბეჭდავს მონოგრაფიას შოლომ ალეიხემზე.

ქართველი საბჭოთა მწერლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლას. მწერლები გულმოდგინედ შეუდგნენ ამ მეტად მდიდარი შრომის ინდივიდუალურ შესწავლას. ეს შრომა, სადაც სტალინური სიმართლით არის მოთხრობილი გმირული საბჭოთა ხალხების და მათი ხელმძღვანელი პარტიის ბრძოლა ძველი ცხოვრების დამხობისა და ახალი, სოციალისტური ცხოვრების შექმნისათვის, საფუძვლად დაედო ბევრი მწერლის ლექსებს, მოთხრობებსა და პოემებს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-18 ყრილობიდან და ამ ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებიდან იწყება ახალი საფეხური ჩვენს მწერლობაში. მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა დიდ თემატიურ პერსპექტივებს უსახავს ქართულ საბჭოთა მწერლობასაც. ჩვენ, ქართველი მწერლები, საბჭოთა ხალხების მწერლებთან ერთად, ჭეშმარიტად გავამართლებთ ამხანაგ **სტალინის** მითითებებს მხატვრული სიტყვის ოსტატებზე. ჩვენ მოძმე საბჭოთა ხალხების მწერლებთან ერთად უნდა გავხდეთ და გავხდებით ადამიანის სულის ნამდვილი ინჟინერები კომუნიზმის მშენებლობაში, ადამიანის სულის ინჟინერები დიდი სტალინის ბრწყინვალე ეპოქისა (ტაში).

შევჩენკოსადმი მიძღვნილი სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

დიადი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან თავი მოიყარა მრავალმა მწერალმა. საბჭოთა უკრაინის დედა-ქალაქი კიევი გულთბილი და ხელგაშლილი ხვდება საყვარელ სტუმრებს, რომლებიც ჩასულან ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე.

4 მაისს, 7 საათზე, უკვე გაჭედილია უკრაინის უმაღლესი საბჭოს სასახლის სხდომის დარბაზი. 1200 კაცმა მოიყარა თავი. აქ არიან მწერლები, ხელოვნების ოსტატები, მეცნიერების წარმომადგენლები, ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები და სხვ.

პლენუმის პირველ სხდომას დაესწრნენ ამხანაგები **ხრუშჩოვი, ბურმისტენკო, კოროტჩენკო და კორნიეცი**.

პრეზიდიუმის მაგიდასთან სხდან ა. ტოლსტოი, პ. ტიჩინა, ა. ფადეევი.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ უკრაინის ხალხის საუკეთესო შვილის ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავს,—სთქვა თავის შესავალ სიტყვაში აკადემიკოსმა ა. ტოლსტოიმ.—ჩვენი დღესასწაული, დღესასწაული პოეზიის, კულტურისა და ჰუმანიზმისა შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიის მეოხებით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში შევჩენკოს საიუბილეო დღეები გადაიქცა უდიდესი რეალისტური ხელოვნების დღესასწაულად, რეალისტური ხელოვნების, რომელიც აღმოცენდა ხალხურ ნიადაგზე და ემსახურება ხალხს.

მეორე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა პ. ტიჩინამ.

ა. ტოლსტოისა და პ. ტიჩინას შესავალი სიტყვების შემდეგ სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სახელით ფადეევმა გაფართოებული პლენუმი გახსნილად გამოაცხადა.

ტაშის გრიალით არჩეულ იქნენ საპატიო პრეზიდიუმში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. პოლიტბიურო ამხანაგი **სტალინის** მეთაურობით და უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ. პოლიტბიურო.

ამის შემდეგ პლენუმი ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს და სარედაქციო კომისიას. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ხრუშჩოვი, ბურმისტენკო, კოროტჩენკო, კორნიეცი, ტიმოშენკო, ლიხენკო, აბასოვი, აპლეტინი, ბაჟანი, ბელეცკი, გლადკოვი, დადიანი, დოვჟენკო, ზოშჩენკო, ისაკიანი, კარავაევა, კვიცინია, კორნეიჩუკი, კატაევი, კრუჩკოვა, იაკუბ კოლასი, იანკა კუპალა, ლოზოვსკი, ლებედევ-კუმაჩი, მაშაშვილი, პანჩი, რილსკი, სერაფიმოვიჩი, ტიხონოვი, ტოლსტოი, ტიჩინა, ფადეევი, ჩიქოვანი და სხვ.

აკადემიკოსმა ალ. კორნეიჩუკმა ვრცელი მოხსენება გააკეთა ტარას შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მომხსენებელმა დაახასიათა გენიალური პოეტის შემოქმედების განვითარების ცალკეული ეტაპები. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის უშუალო კავშირს მოძმე რუსი ხალხის კულტურასა და საზოგადოებრივ აზროვნებასთან.

ტაშის გრიალის ხმა ავსებს მთელს დარბაზს, როცა ამხ. კორნეიჩუკი უკრაინისა და მოძმე რესპუბლიკების საბჭოთა მწერლების სახელით მადლობას უცხადებს ხალხთა დიდ ბელადს იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ასე ფართოდ იფურჩქნება სოციალისტური კულტურა.

ვალენტინ კატაევი, პეტრო პანჩი, და იაკუბ კოლასი კითხულობენ ტექსტებს პლენუმის მიმართვისას ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი, ამხანაგ მოლოტოვისა** და ამხანაგ **ხრუშჩოვისადმი**. დარბაზში კვლავ ხანგრძლივი ტაში გაისმის.

ვ. ლებედევ-კუმაჩი გამოვიდა შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსით. ბელორუსელი მწერალი იანკა კუპალა თავისი ხალხის სახელით მიესალმა სოციალისტური უკრაინის ხალხს და პლენუმს გადასცა საჩუქარი—ბელორუსელი ოსტატების მიერ ფერადი ხის ნაჭრებისაგან დამზადებული შევჩენკოს სურათი.

5 მაისს სხდომაზე პირველი მოხსენება გააკეთა იაკუბ კოლასმა თემაზე: „შევჩენკო და ბელორუსული ლიტერატურა“.

ამხ. ალიო მაშაშვილი თავის მოხსენებაში „შევჩენკო და ქართული ლიტერატურა“ ფართოდ შეეხო შევჩენკოს პოპულარობას საქართველოში.

უკრაინელმა პოეტმა მაქსიმ რილსკიმ წაიკითხა მოხსენება შევჩენკოს პოეტიკის შესახებ. მომხსენებელმა გააკეთა შევჩენკოს პოეტური ოსტატობის ღრმა ანალიზი, განიხილა მისი მხატვრული სახეების სისტემა.

სალამოს სხდომაზე ვრცელი მოხსენებით შევჩენკოს ნაწერების თარგმანების შესახებ გამოვიდა კ. ჩუკოვსკი.

„შევჩენკო და მსოფლიო ლიტერატურა“—ამ თემაზე მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა ბელეცკიმ.

პლენუმის მუშაობის მესამე დღეს პირველი მოხსენებით გამოვიდა აპლეტინი. თავის მოხსენებაში „შევჩენკო და დასავლეთი“ მან აღნიშნა, რომ გენიალური პოეტის ნაწერები გამოცემულია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, სერბიულ, შვედურ, რუმინულ, ბოლგარულ და სხვა ენებზე.

შევჩენკოზე, როგორც მხატვარზე, მოხსენება გააკეთა ს. რაევსკიმ. მან გაარჩია შევჩენკოს ცალკეული სურათები და დაასაბუთა შევჩენკოს ესთეტიურ შეხედულებათა მთლიანობა ლიტერატურასა და მხატვრობაში.

სხდომის დასასრულს გამოვიდნენ: სომეხი მწერალი არაზი, აზერბაიჯანელი მწერალი რასულ-რზა და ებრაელი პოეტი გოფშტეინი.

6 მაისის სალამოს სხდომა გაიხსნა სტებუნის მოხსენებით: „შევჩენკო და უკრაინული ლიტერატურა“. შევჩენკო უკრაინის ახალი ლიტერატურის ფუძემდებელიაო,—სთქვა მომხსენებელმა,—მან პირველმა წარმართა უკრაინის ლიტერატურა ფართო ევროპული გზით.

კომპოზიტორმა ფ. კოზიცკიმ თავის მოხსენებაში—„შევჩენკო მუსიკაში“ აღნიშნა პოეტის არაჩვეულებრივი მუსიკალობა. მისი, როგორც ვოკალისტის ნიჭი და მუსიკის ღრმა გაგება. შემდეგ მან მოიყვანა მაგალითები იმისა, თუ როგორ იზიდავდა და იზიდავს კომპოზიტორებს შევჩენკოს შემოქმედება. საბჭოთა კომპოზიტორებმა დასწერეს შევჩენკოს ტექსტზე და მისი ნაწერების სიუჟეტების მიხედვით 120 მუსიკალური ნაწარმოები. კოზიცკის მოხსენება ილუსტრირებულ იქნა სიმღერებით, რომლებიც შეასრულეს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის კაპელამ და ებრაულმა ვოკალურმა ანსამბლმა.

7 მაისს პლენუმის მონაწილეები ჩავიდნენ კანევში დიდი პოეტის საფლავის სანახავად. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები. ქართველი ხალხის სახელით უკრაინელ ხალხს მიესალმა ამხ. სანდრო ეული, რომელმაც თავისი სიტყვის დასასრულს წაიკითხა ლექსი, მიძღვნილი ტარას შევჩენკოსადმი. ამხ. ს. ჩიქოვანმა წაიკითხა შევჩენკოს „ანდერძის“ ქართული თარგმანი, ხოლო გ. ლეონიძემ — ლექსი, მიძღვნილი ტარას შევჩენკოსადმი. მიტინგის შემდეგ კორნეიჩუკმა, ფადეევმა, ს. ჩიქოვანმა და სხვ. შევჩენკოს საფლავი გვირგვინებით შეამკეს.

8 მაისს პლენუმმა მუშაობა განაგრძო. დღის სხდომაზე არჩეულ იქნა სსრკ საბჭოთა მწერლების გამგეობის პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ ასეევი, ვიშნევსკი, გერასიმოვა, კარავაევა, კატაევი, კორნეიჩუკი, კუპალა, ლებედევ-კუმაჩი, მაშაშვილი, პავლენკო, სობოლევი, ტოლსტოი, ფადეევი, ფედინი, შოლოხოვი.

მარიეტა შაგინიანის მოხსენება „შევჩენკოს დამოკიდებულება ბუნებასთან“ პლენუმის მიერ მოსმენილ იქნა დიდის ინტერესით.

დასასრულ, პლენუმზე გამოვიდნენ სახალხო კობზარები, უკრაინელი პოეტები და მოძმე რესპუბლიკების პოეტები. შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ პოეტი ალექსანდრე სურკოვი და ბელორუსიის სახალხო პოეტი იანკა კუპალა. ლექსები წაიკითხეს პოეტებმა სიმონ ჩიქოვანმა, ნიკოლოზ ტიხონოვმა, ალექსანდრე ჟაროვმა, გოლოვანივსკიმ, სარიანმა და სხვ.

ამით დასრულდა მუშაობა შევჩენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილმა საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციური დემოკრატიის დიდი სატირიკოსი

გენიალურ რუს სატირიკოსს მიხეილ ევგრაფის-ძე სალტიკოვს (შჩედრინს) რუსულ კლასიკურ მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან ახალ საფეხურზე აიყვანა რუსული ლიტერატურის კრიტიკული მიმართულება. სალტიკოვ-შჩედრინის ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1847 წელს, მაშინ, როცა რუსული საზოგადოებრივი აზრის ძირითად საკითხს წარმოადგენდა ბატონყმურ-ფეოდალური ურთიერთობის ლიკვიდაცია და მისი შეცვლა ახალი, ბურჟუაზიული სისტემით, და დასრულდა 1889 წელს ე. ი. მაშინ, როცა რუსეთი მუშათა მოძრაობის ძლიერი განვითარების პერიოდში შევიდა, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე რუსეთს გადამწყვეტ ისტორიულ ძალად მოევლინა ახალი კლასი — პროლეტარიატი.

შჩედრინს, როგორც რუსეთის სინამდვილის რეალისტ - მხატვარს, ჰყავდა თავისი წინამორბედები. გოგოლმა, ტურგენევმა, გონჩაროვმა,— რუსეთის მწერლობის ამ დიდმა კორიფეებმა შეამჩნიეს მემამულურ-თავადაზნაურული საზოგადოების ღრმა წინააღმდეგობანი, ასახეს ბატონყმური ურთიერთობის რღვევა, სასტიკად დასცინეს რუსული სინამდვილის მახინჯ მხარეებს, მაგრამ არც ერთ მათგანს გარკვევით არ წამოუყენებია საკითხი არსებული წყობილების უარყოფისა და შეცვლის შესახებ.

ძველი საზოგადოებრივი პოლიტიკური სისტემის სრულს უარყოფამდე რუსულ მწერლობაში პირველად მხოლოდ შჩედრინი მივიდა. „არავის არ გაუკიცხავს ჩვენი საზოგადოებრივი მანკიერება ესოდენი მწარე სიტყვით, არავის არ გამოუტანია ჩვენს თვალწინ ჩვენი საზოგადოებრივი წყლულები ესოდენი დაუნდობლობით, როგორც ეს მოიმოქმედა შჩედრინმა“, — სწერდა ჩერნიშევსკი.

შჩედრინი მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ მოღვაწეობაში განაგრძობდა ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის პრინციპების დაცვას. იგიც ჩერნიშევსკივით დაუნდობლად აკრიტიკებს საგლეხო რეფორმას, ამჟღავნებს ამ რეფორმის არასაკმარისობას გლეხობისათვის, მზის სინათლეზე გამოაქვს ბატონყმური იჯარით, გადასახადებით, ხარკითა და ვახშით წელგაწყვეტილი გლეხობის უმწეო მდგომარეობა. შჩედრინს ღრმად სწამდა, რომ ბატონყმობის გაუქმება, ყმების განთავისუფლება უმიწოდ, როგორც ამას რეფორმა ითვალისწინებდა, ვერ სწყვეტდა გლეხობის საკითხს, რომ რუსეთი რეფორმის შემდეგაც დარჩებოდა ნახევრად ბატონყმურ მდგომარეობაში, რომ ოდნავ შერყეული ბატონყმური წყობილების ძალა, მისი ნაშთების სიმწვავე ყოველ დღე საგრძნობი იქნებოდა პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში.

თავადაზნაურულ ლიბერალიზმთან ბრძოლის თემა შჩედრინმა პირველად დაამუშავა თავის „საგუბერნიო ნარკვევებში“. მის წინააღმდეგ მიმართა აგრეთვე მან თავისი შესანიშნავი პამფლეტი „სატირები პროზად“. იგივე თემა განსაზღვრავს „დროის ნიშნების“ და „პროვინციელის დღიურის“ იდეურ-მხატვრულ შინაარსს. ამავე თემას უბრუნდება შჩედრინი „თანამედროვე იდილია“-სა და „წერილებში დეიდასთან“. „ზღაპრების“ დიდი ნაწილიც ამ თემისადმია მიძღვნილი. ამ და ბევრს სხვა თავის ნაწარმოებში, რომლებიც ერთად აღებულნი, რუსული ლიბერალიზმის ევოლუციის მხატვრულ მატიანეს წარმოადგენენ, შჩედრინი გვევლინება თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის დაუნდობელ, სასტიკ მოწინააღმდეგედ.

შჩედრინის უდიდესი ღვაწლი ის არის, რომ მან შესძლო რეაქციონერებსა და ლიბერალებს შორის არსებული გარეგნული განსხვავების მიღმა დაენახა და ეჩვენებინა მათი შინაგანი სიახლოვე, მათი სულიერი ნათესაობა.

იმ ნარკვევებისა და მოთხრობების ციკლიდან, სადაც ნაჩვენებია რეფორმის მოწინააღმდეგე აზნაურების უსუსურობა და დაბნეულობა, ლიბერალურ მოღვაწეთა სიყალბე და მელაკუდობა, ბიუროკრატული წრეებისა და მაღალი ადმინისტრაციის მტაცებლობა და ძალადობა, ყველაზე ცნობილ ღრმა სატირულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ „პომპადურები“ და „ერთი ქალაქის ისტორია“.

„პომპადურებში“ მკითხველის წინ გაივლის მთელი წყება ადმინისტრატორებისა, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას ამყარებენ პრინციპზე „тащить и не пущать“ პროვინციის ბიუროკრატიული ფენის ეს წარმომადგენელნი ნიკოლოზ პირველის დროინდელი და ახალი ლიბერალური სკოლის მოწაფეები არიან. ყველანი ერთი და იმავე მირონით ცხებულნი არიან.

მეორე გენიალური სატირა — „ერთი ქალაქის ისტორია“ გროტესკულად გვიხატავს 60-70-იანი წლების რუსეთის სინამდვილეს. ქალაქ გლუპოვად შჩედრინს წარმოდგენილი ჰყავს რუსეთის თვითმპყრობელობა. პირველყოვლისა, გლუპოვობად შჩედრინი გულისხმობს იმ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო რუსული ლიბერალიზმისათვის. შჩედრინის განმარტებით, ეს თვისებებია — „ბრიყვული გულუბრყვილობა, მოქნევის ძალა, გამოხატული, ერთის მხრივ, ცხვირპირის შეუწყვეტელ მტვრევაში, მეორეს მხრივ - ბელურებზე ზარბაზნების სროლაში, ფუქსავატობა, თავქარიანობა, ისეთ ნიჭად გადაქცეული, რომელიც კაცს საშუალებას აძლევს ყოვლად უნამუსოდ იცრუოს“. წარმოგვიდგენს რა გლუპოვობას მცონარეობის განსახიერებად, შჩედრინი შეუდარებელი ძალით ხატავს იმას, ვინც იმკიდა ამ გლუპოვურ მცონარეობაზე, ბრიყვულ გულუბრყვილობაზე და მოდუნებულობაზე აღმოცენებულ ნაყოფს: შჩედრინი შეუდარებელის ძალით წარმოგვისახავს რუსეთის თვითმპყრობელობას, ჰქმნის რა გლუპოვის გრადონაჩალნიკთა დაუვიწყარ სახეებს. ამ ბიუროკრატთა გალერეა იხსნება ბრუდასტის პორტრეტით, მეორე მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც ბრუდასტის მოსდევს, არის ნეგოდიაევი. ორივე ფეხის ტერფი მას შებრუნებული აქვს, ამის გამო იგი მაშინაც კი, როცა ნაბიჯი წინ უნდა გადადგას, მოძრაობს წინააღმდეგი მიმართულებით. სატირა თავდება უკანასკნელი გლუპოველი ტირანის უგრიუმბურჩეევის პორტრეტით, შემაძრწუნებელი სახე-ალეგორიით. უგრიუმბურჩეევი, რომელიც რუსეთის აბსოლუტიზმს ანსახიერებს და რომელშიაც თანამედროვენი ადვილად სცნობდნენ არაკჩეევს, ნიკოლოზ პირველს და მურავიოვ-ჩამომხრჩობელს, თხზავს პროექტებს იმისას, თუ როგორ გადააქციოს გლუპოვი ერთ დიდ ყაზარმად, თხზავს ასეთ პროექტებს და თავადვე სტკბება ამ სადისტური განზრახვის მოსალოდნელი განხორციელებით. სწორი გეომეტრიული ხაზების გაყვანის მანიით შეპყრობილი უგრიუმ - ბურჩეევი სცვლის მდინარეთა კალაპოტებს, ანგრევს ქუჩებს, ჟლეტს მცხოვრებლებს, სალდაფონური, რეგვნული წვრთნის ობიექტად ხდის მთელ მოსახლეობას. მოთხრობის ფინალში სატირიკოსს გამოჰყავს ვილაც უსახო, რომელიც მუსრავს ქალაქ გლუპოვს და აჩერებს ისტორიის მსვლელობას. ქ. გლუპოვის ნანგრევებქვეშ იმარხება მისი შემქმნელი უგრიუმ-ბურჩეევი.

ამ ფინალში სიმბოლიურად ნაწინასწარმეტყველევია უგრიუმ - ბურჩეევის სამეფოს — აბსოლუტიზმის — დაღუპვა და სახალხო რევოლუციის აუცილებლობა.

70-იანი წლების დამდეგს დაწერილ სატირულ ნაწარმოებებში შჩედრინი, აღრმავებს რა წინანდელ მოტივებს, გვიჩვენებს არა მარტო თავად-აზნაურობის სრულ გახრწნას და გადაგვარებას, არა მარტო მის პრაქტიკულ უუნარობას, არა მარტო მის გონებრივ და ზნეობრივ დაკნინებას, არამედ გლეხური მასების გაღატაკებას და ახალი ტიპის, კაპიტალისტური ტიპის მტაცებელთა წარმოშობას.

კაპიტალისტური მძარცველობა განსაკუთრებული სიმკვეთრით მოცემულია მოთხრობაში „ბატონი ტაშკენტელები“, სადაც ერთ-ერთ მთავარ გმირად გვევლინება ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკი პორფილე ველენტიევი (წინად პორფიშკა), სამხედრო მომარაგებაზე გამდიდრებული. ეს ვაჟბატონი ძალიან მოხერხებულად სარგებლობს თავისი თანამდებობით, უკავშირდება ვაჭარს პორტუხოვს და მალე მილიონების პატრონი ხდება. როგორც ეს მოთხრობა მოწმობს შჩედრინმა ყველაზე ადრე რუს მწერლებიდან შეამჩნია თავისი ეპოქის დამახასიათებელი თვისება—კაპიტალიზმის შეზრდა-შეხორცება მეფის პლუტოკრატიასთან, ბურჟუაზიის დაკავშირება მეფის თვითმპყრობელობასთან, დაკავშირება რომელმაც მშრომელ ხალხს აუტანელი ტანჯვა-წამება მიაყენა. მეორეს მხრივ, მოთხრობა „ბატონი ტაშკენტელები“ ნათლად წარმოგვიდგენს, თუ როგორი გულმოდგინებით ნერგავდა თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიული რუსეთი „ცივილიზაციას შუა აზიაში, თუ რა ფრცელ სარბიელს და ფართო გასაქანს აძლევდა იგი დაპყრობილ კუთხეებში შოლტისა და მათრახის ოსტატებს. დიდი სატირიკოსის განმაზოგადოებელი აზრისათვის საზღვარი ჭეშმარიტ რუსეთსა და შუა აზიის სამფლობელოებს შორის მეტად პირობითია: ტაშკენტია „ყველგან, სადაც ხალხს კბილებს ამტვრევენ და ცხვირში ძმარს ადენენ“.

ასეთ გარემოცვაში შჩედრინს ცარიელ ლაყბობად მიაჩნდა იმის მტკიცება, თითქოს ბატონყმობა საბოლოოდ გადავარდნილი, საბოლოოდ მოსპობილი ყოფილიყო. სთვლის რა ბატონყმობის გაუქმებას ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად, შჩედრინი 70-იან წლებში სწერს თავის უკვდავ ნაწარმოებს „ბატონი გოლოვლიოვები“, ხოლო 80-იანი წლების დასასრულს იმავე თემაზე ჰქმნის თავის ეპოპეას „პოშეხონსკაია სტარინას“. ამ ნაწარმოებში ავტორი მიზნად ისახავს არა მარტო იმას, რომ მკითხველის მეხსიერებაში აღადგინოს გუშინდელი დღის საშინელებანი, არამედ მკითხველს აჩვენოს ისიც, თუ რა შემზარავი სახით გამოიყურება ბატონყმობა რეფორმის შემდეგდროინდელი რუსული სინამდვილის ყოველი ქუჩუტანიდან.

ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება შჩედრინის მიერ შექმნილი მთელი გალერეა მხატვრული სახეებისა, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს იუდუშკას სახელით მონათლულს პორფილე გოლოვლიოვს. იუდუშკა ანსახიერებს ყმათა მფლობელი მებატონის სულს, მის მორალურ სიბილწეს, მის ზოოლოგიურ სისასტიკეს ყმების მიმართ, მის ზნეობრივ გათახსირებას, რომელსაც ნიღბად აფარებული აქვს ღვთის მოსაობა და ცრუ ქრისტიანული სათნოება. იუდუშკა არის ბატონყმურ ვითარებაში აღზრდილი პირფერი, თვალთმაქცი, ფლიდი, ფარისეველი ადამიანის სახე. ის, რაც მასში სასაცილოდ გვეჩვენება, ნამდვილად შემზარავი და შემაძრწუნებელია, რადგან იუდუშკაში ხორცშესხმულია სიცრუე და სიყალბე მთელი იმდროინდელი ცხოვრებისა, რომლის ორგანიული თვისებაც იყო კერძო მესაკუთრული გაუმაძღრობა, მტაცებლობა, პირმოთნეობა, სივერაგე და მზაკვრობა.

ლენინმა და სტალინმა გვიჩვენეს შჩედრინის გამოყენებისა და განმარტების კლასიკური მაგალითები.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდმა **ლენინმა** იუდუშკას სახელი არაერთხელ უწოდა გაიძვერა ტროცკის. გარეწარ ბანდიტ ტროცკისა და მის საზიზღარ დამქაშებში განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოჩნდა ის თავისებურება, რომელიც შჩედრინის იუდუშკას თვალთმაქცობის, პირფერობის, მზაკვრობისა და ვერაგობის საზიზღარ ტიპად ხდის. ტროცკისტულ-ბუხარინულმა ბანდიტებმა თავიანთი ვერაგული საქციელით და თვალთმაქცობით დიდი მანძილით მოიტოვეს უკან შჩედრინის იუდუშკები.

დღესაც შჩედრინის შემოქმედება ინარჩუნებს თავის აქტუალობას, ქალაქ გლუპოვის საარაკო გრადონაჩალნიკებს სიბრიყვეში არაფრით არ ჩამოუვარდებიან თანამედროვე ფაშისტი დამპყრობლები, რომელთა სიჩლუნგე და გონებაშეზღუდულობა გენიალური სიმკვეთრით და სიზუსტით დაგვიხატა ამხანაგმა **სტალინმა** საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე წარმოთქმულ მოხსენებაში, როცა საბჭოთა კონსტიტუციის ფაშისტი კრიტიკოსები შჩედრინის ერთ-ერთ გულფიცხს ბიუროკრატს შეადარა.

დიდი **სტალინის** მიერ შესანიშნავად გამოყენებულმა შჩედრინის მოსწრებულმა სახემ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. დღეს ჩვენი ქვეყნის მილიონი მშრომელები ხშირად იმეორებენ: „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“.

ეს ძალა შჩედრინის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მისცა იმან, რომ შჩედრინი თავის შემოქმედებას მუდამ უმორჩილებდა თავისი დროის უდიდეს იდეებს, რომ მის კალამს ამოძრავებდა შეურიგებელი სიძულვილი მჩაგვრელობისა, ჯალათებისა და გამცემლებისადმი, მგზნებარე სიყვარული მშრომელი მასებისადმი, ურყევი რწმენა გონიერებისა და სოციალური სიმართლის გამარჯვებაში.

შჩედრინის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სახეებით აზროვნების და ლოგიკური განსჯის შეთავსება, რაც ჰქმნის ღრმად შინაარსიან, ბრძნულ ხელოვნებას. შჩედრინის მგზნებარე აზრი იჭრება მის მხატვრულ თხრობაში და სიცოცხლის ახალი ძალით მსჭვალავს მის სახეებს. შჩედრინის ეს მგზნებარება, ეს პათოსი ამაღლებს თანამედროვე საბჭოთა მკითხველის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ამით არის შჩედრინი უკვდავი დიადი **ლენინ-სტალინის** ეპოქისათვის.

ვ. ჭულუკიძე

უკანასკნელი საღამო

შალვა ამისულაშვილი

სანატრელია საღამო ზღვასთან,
ყოველი წუთი ძალღონეს გმატებს:
წამოიშლება
ათასი განცდა, —
შემოგაპარებს თვალებში ნათელს;
დგეხარ, შეჰყურებ, —
და მუქ ფერებით
დინჯი ტბორები შლიან თილისმას,
ვით გაზაფხულზე
ქართლის ველები,
ან ტრამალები უკრაინისა!..
მზე ნაგზაური,
მზე რქანაყარი
ბეჭდის თვალივით ბუდეში ჯდება;
ჭავლებს მოჰყვება
ტკბილი ზღაპარი
და შორეული პალმების ქება...
წამო, ვიაროთ,
მწვანე ხეივანს
ვტყორცნოთ გზადაგზა ფერადი
ქვები;
მთვარეც გამოვა
გულარხეინად,
წარბებს გახსნიან ჭალარა მთიები...
წამო, ვიაროთ,
გავცდეთ ჯებირებს,
გამაგებინე შენი მგზავრული,
გადამატარე
გაშლილ ჯეჯიმზე, —
და მეც მამღერე, როგორც
ჯამბული!..
რა მშვიდად მოსჩანს
ზღვა უნაპირო!..
მოდი და ეხლა ნუ ეტყვი რამეს!
დღეს იგი ღელვას
აღარ აპირობს,
დგას, ელოდება კოლხიდურ
ღამეს...
ნეტა ცოტახნით
რჩებოდე კიდევ,
ერთად მოგვევლო ეს მიდამონი;
ხვალ მატარებლით გადივლი
მინდვრებს
თან გამოგყვება ჩემი ამბორი...
წახვალ; შეხვდები
დიდი რუსეთის
გმირთა ქვეყანა გმირობას
მოგთხოვს;
შეაფრენ არწივს,
და ფერუცვლელი
პირველ სიხარულს ჩასძახებ
მოსკოვს...
ნაოცნებარი
მოივლი საზღვრებს,
კავკასიონსაც გადმოსჭრი, ვიცი,
მოგაგონდება
შეხვედრა ზღვაზე,
მოგაგონდება მეგობრის ფიცი...
იტყვი:
— აქ ერთი შავლეგა ბიჭი
ქართულად უმღერს მშობლიურ
ქვეყნებს;
თავს ოსტრიალებს
ბელადის ფიქრი, —
არ დამარცხდება ლექსების მეხრე!..
სხვა რაღა გინდა
ამაზე მეტი?
თვალწინ მიგიე ზღვაც უნაპირო!
რა ლამაზია,
გაჰხედე ერთი,
დღეს იგი ღელვას აღარ აპირობს,
ვიაროთ ასე!..
გავცდეთ ჯებირებს,
გამაგებინე შენი მგზავრული,
გადამატარე
გაშლილ ჯეჯიმზე,
და მეც მამღერე, როგორც
ჯამბული!..

ქუთაისის პეიზაჟები

სილოვან ახვლედიანი

ბაღი

აქ ყველას ღიმში ჩახატული თვალები უჩანს,
როგორც ჩვენს დროში თვით ყოველი დღის გათენებას;
როგორ შევიძლო, თუნდ ეს ნაძვი ვიხმარო ფუნჯად,
დავხატო ისე, ვით ამ ბაღნარს შეეფერება.
ამ ხეივნებთან რომ უმღერენ ბედნიერ იღბალს,
გახარებული ხალხის მკერდი ძგერს და ღაღადებს;
გავხედავ რტოებს და წამოშლილ ფოთლების მიღმა
ვრცეული ზეცის ფირუზიანს ვამჩნევ ნახატებს.
ყოველ დილისას, რასაც ხმა აქვს, რასაც აქვს გული,
ნაძვების შრიალს აქ უერთებს გრძნობად ქრუანტელს,
ბაღში იღვრება მომღიმარე, პირმომანგული
მზე და შერხეულ ყვავილნარებს სხივებს მოანთებს.
წავიდა სუსხი და დღეები ცადანაღრუბლი,
აქ ყველაფერი მხიარულობს, გულის ზიარი;
ქალაქს გასცქერის წულუკიძის მაღალი შუბლი,
როგორც ყოველთვის, ნაფიქრალი და აზრიანი.

პალმები

დგანან, ხარობენ, არ ელიან მოჭრას, დაცემას,
სწამთ, ამ ბედნიერ ხალხთან ყოფნა თუ რა კარგია;
ჩარიგებულან თითქო ფხიზელ ჯარისკაცებად
და დარაჯობენ ქუჩებს სარკიანს.
მოშორდნენ წყვდიადს და წარსულის დღეებს ცრემლნარევს,
დღეს შეჰხარიან რტორხეულნი ამ მზეს, ამ ადგილს;
ასეა მარად, მხნედ კისკასებს თითონ მცენარეც
ბელადის სიბრძნით განათებულ დღეთა ამაგით.

მამა ქალაქში

გადმოიარა ლეჩხუმიდან მიდამო ვრცელი,
შეჰერდა ავტო და ხურჯინი გადმოიწოდა,—
მე დედიჩემის გამომცხვარი მჭადის სურნელს
მონატრებული ვიყავ, იცოდა.
წავედით ერთად, მოვიარეთ ქალაქი ვრცელი
(ხუთი წელია არ უნახავს მამის ჭალარას)
სადღაა ძველი ქანჟახები, ქუჩები ძველი?
წყლის შადრევანმა ვერცხლის თქორი გადმოგვაყარა.
რამდენი ბაღი და შრიალა ქუჩის განივი,
რა ფაბრიკები და ბედნიერ ხალხთა სახლობა
ვნახეთ. მზე ციდან დაგვყურებდა ჩირაღდანივით
და შევისვენეთ პალმის მახლობლად.
დიდმა ბელადმა მოიტანა, რაც ხალხს სურდა ის,
ეს ჩუქურთმები, ეს ბაღები ტანმოშრიალე...
ვსაუბრობთ ერთად, გადავყურებთ ახალ ქუთაისს
და გამარჯვებით ამღერებულ ადამიანებს.

ისტორიული თემები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში

ლევან ასათიანი

წერილი პირველი.

1. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი იდეური და შემოქმედებითი ზრდა-განვითარებისათვის.

პარტიის ისტორია ხელს უწყობს მწერლობის შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ამდიდრებს მას ცხოვრების ცოდნით, შესაძლებლობას აძლევს უფრო ღრმად ჩასწვდეს ჩვენი მრავალფეროვანი სინამდვილის შინაარსს და გამოხატოს იგი მთელი სისრულით.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს პარტიის ისტორიის მოკლე კურსს საბჭოთა კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს წიგნი შესაძლებლობას გვაძლევს ახალ სინათლეში შევაფასოთ საბჭოთა ლიტერატურის მიერ განვლილი გზა. ეხლა საშუალება გვეძლევა უტყუარად შევამოწმოთ, თუ რამდენად სწორად აისახა საბჭოთა ლიტერატურაში ჩვენი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდი, როგორი გამოვლინება ჰპოვეს მწერლობაში ისტორიულმა ფაქტებმა და მოვლინებმა, როგორი ანარეკლი მოგვცეს წარსული თუ დღევანდელი ეპოქის ტიპიურმა გარემომ და ადამიანებმა.

○

2. ქართულ საბჭოთა მწერლობაში განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე, უდიდესი სიძლიერით გამოვლინდა ის არაჩვეულებრივი სიყვარული და ერთგულება, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი ხალხი გმირული ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების ლენინისა და სტალინისადმი.

ქართველმა პოეტებმა მთელ რიგ საუკეთესო ლექსებში სცადეს გამოეხატათ კაცობრიობის უკვდავი გენიოსის ლენინის სახე, იმ ადამიანის სახე, რომელმაც მშრომელთა განთავისუფლების საქმეს შესწირა მთელი თავისი მღელვარე ცხოვრება, ტიტანიური ნებისყოფა და გონების ძალა.

არა ნაკლების გულწრფელობითა და შთაგონებით შეეცადნენ ქართველი საბჭოთა მწერლები ლენინის დიადი საქმის გამგრძელებლის, მშრომელი კაცობრიობის უდიდესი ბელადის **სტალინის** გენიალური სახის დახატვას.

აქ შეუძლებელია გვერდი ავუვიოთ იმ გარემოებას, რომ ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის, როგორც უაღრესად პასუხსაგები და მნიშვნელოვანი თემის, მხატვრულ დამუშავებას ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში (და საერთოდ მთელ ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში) უდიდესი სტიმული და გაქანება მისცა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას შესანიშნავმა შრომამ: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, შრომამ, რომელიც წარმოადგენს ძვირფას განძს ბოლშევიზმის ისტორიაში.

ამ წიგნის საფუძველზე, მისი შთამგონებელი იდეური ზეგავლენის ნიადაგზე, ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ მოგვცა მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები.

არ შევჩერდებით იმ უამრავ ლექსებზე, სადაც მთავარსა და შემავალ თემას შეადგენენ ლენინისა და სტალინის უკვდავი სახეები. საჭიროდ კი ვთვლით აღვნიშნოთ, რომ საუკეთესო ქართველმა პოეტებმა — გ. ლეონიძემ, ა. მაშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა და მრავალმა სხვამ—უდიდესი შთაგონებით გამთბარი, მგზნებარე ლექსები უძღვნეს ხალხთა გენიალურ ბელადს სტალინს. ისეთი ლექსები, როგორიც არის გ. ლეონიძის „სტალინს“ („რა ქარმა გზარდა, რა ლვარმა“), „სიტყვა გიორგი ლეონიძისა“ და „ბელადმა ნდობა გამოგვიცხადა“, ა. მაშაშვილის „სამშობლო ბელადისა“ და „ჰიმნი სამშობლოს“, სიმონ ჩიქოვანის „გორის ციხე“ და „მშობლიურ ხალხს“, ილო მოსაშვილის „ბელადს“ და „სამშობლოს“, დარჩებიან ჩვენი პოეზიის საგანძურში, როგორც მაღალმხატვრული პოეტური შედევრები. იგივე უნდა ითქვას ი. გრიშაშვილის, ალ. აბაშელის, ვ. გაფრინდაშვილის, ირ. აბაშიძის და სხვათა ლექსებზე, რომლებიც ანალოგიურ თემაზეა დაწერილი.

○

3. გარდა ლექსებისა, ქართულ პოეზიაში იყო ცდა დიდი ეპიური ტილოს მოცემისა სტალინის ცხოვრების თემაზე. ასეთ ცდას ეკუთვნის პოეტ გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი“. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია მხოლოდ ცალკეული თავები პოემის პირველი და მეორე კარიდან, სადაც ასახულია ბელადის ბავშვობა და ყრმობა.

გ. ლეონიძის პოემის დასაწყისი თავები იშლება გარკვეული ისტორიული ეპოქის ფონზე; იგი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ცნობილია იმ შავ-ბნელ ხანად, როდესაც მეფის თვითმპყრობელობის პირობებში უმძაფრეს ხასიათს იღებს მშრომელი ხალხის ეკონომიური და სოციალური ჩაგვრა. ეს ის პერიოდია, როდესაც „ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, ვეებერთელა ხარკები და მემამულეებისათვის გამოსასყიდი ფასის გადახდა, რაც ხშირად გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობას აღემატებოდა, იწვევდნენ გლეხთა მასების გაჩანაგებას, გაღატაკებას.. მუშებსა და გლეხებს მბრძანებლობდა მთელი არმია ისპრავნიკებისა, ურიადნიკებისა, ჟანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავდნენ მეფეს, კაპიტალისტებს, მემამულეებს მშრომელთა წინააღმდეგ, ექსპლუატირებულთა წინააღმდეგ“.. („საკ. კ. პ. (ბ) ისტ. მოკლე კურსი“ გვ. 6). ეკონომიურ და სოციალურ ჩაგვრას ერთვოდა არა ნაკლებად მწვავე ფორმებში გამოხატული ნაციონალური ჩაგვრაც: „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო, — ვკითხულობთ „მოკლე კურსში“,—მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას... მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხშო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას — ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა“... (იქვე, გვ. 6-7).

აი, ის ისტორიული ფონი, რომელზედაც უნდა გადაგვეშალოს გიორგი ლეონიძემ თავისი პოემის პირველი თავები, სადაც მკითხველი გაეცნობა ბელადის ბავშვობისა და ყრმობის ხანას. პოემის გამოქვეყნებულ ადგილებში მართლაც ვხედავთ, რომ გ. ლეონიძე იძლევა ეპოქის სწორ მხატვრულ ანარეკლს. ავიღოთ თუნდაც თავი, რომელსაც ეწოდება „გორის ციხე“. აქ ავტორი მოხერხებულად იყენებს ძველთაძველი დანგრეული ციხის პეიზაჟს, როგორც იმ დროინდელი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების პოეტურ სიმბოლოს, და ამ ემოციურად შეფერილ პეიზაჟის ფონზე გვიხატავს ბელადის ბავშვობას, მის პირველ შთაბეჭდილებებსა და ოცნებას.

მთელი რიგი თავები პოემაში გვიჩვენებენ ქართველი გლეხობის მძიმე ხვედრს, მის აუტანელ ექსპლოატაციას, დაბეჩავებულ მდგომარეობას მეფის თვითმპყრობელობის პირობებში. ასეთია, მაგალითად, მეორე კარიდან თავი „დაბადება და ძეობა“.

„ლობევ, რადა ხარ დაბალი,
მდიდარის გადასათელი?
რად ვერ ანათებს ღამეში
ღარიბი კაცის სანთელი?
ჩვენ ვმუშაობთ, მათი არი
პური, ღვინო, ბაღეული.
სიმშილი და სიღარიბე
კალთაში გვაქვს გახვეული.
ცხრა კარი აქვს საქართველოს,
დაკეტილი არის ცხრავე,
დაგვსევიან ყვავ-ყორნები
და ჩვენ გულ-ღვიძლს ხარბად
ჰხრავენ“.

პოემაში მრავალი სხვა ადგილია, სადაც მძლავრი მხატვრული ფერებით არის მოცემული „გლეხთა მასების გაჩანაგება, გაღატაკება“. მაგრამ ამასთან ერთად საისებით სწორად არის ასახული აგრეთვე ჩვენი მშრომელთა მასების მარადი ოცნება თავისუფალი ადამიანური ცხოვრებისათვის, მათი შეუნელებელი წყურვილი ბრძოლისა და შურისძიებისა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მოგვყავს ერთი ნაწყვეტი გლეხების სიმღერიდან ბელადის მშობლების ქორწილში ძეობის გამო გამართულ ნადიმზე.

„თქვენ, შვილებო, შემოგჩივით,
ვართ მონობის ავადმყოფი;
გვიჭამია პური ჭირით,
სისხლისა და ცრემლის ობი!
გუთანი და დაზგა ვცვითეთ,
მიწა შრომით შევალბეთ,
მაინც კერას ვერ მოვკიდეთ
ბარაქა და პურის ლონე.
მონაგარი სხვამ წაგვართო
თავის სახლში დაამჭელა;
ჩვენ ვიყავით თავხელ მარტო,
თქვენ იმრავლეთ საბრძოლველად!
ია-ვარდო, მარგალიტო,
შე პატარა ცეროდენა,
ღმერთმა ჰქნას და აგარიდოს,
რაც ჩვენ ცრემლი მოგვედინა!
ჩვენ არ ვიცით ხელის გემო,
სხვას შევწირეთ ძარღვის ძალა,
უნდა ბრძოლით დაიჩემოთ,
რაც ჩვენ ბედმა აგვიკრძალა!
უნდა მკლავით ანადგუროთ,
რაც მონობა გვკლავდა ძველად,—
პაწაწინა აკვნის მდგმურო, —
გაგვეზარდე საბრძოლველად!“

აღსანიშნავია, გარდა ამისა, მთელი რიგი ადგილები პოემაში, სადაც მეტად მძაფრად და ამავე დროს უდიდესი პლასტიური სიძლიერით არის მოცემული ის სოციალური სინამდვილე, რომლის გარემოცვაში გაატარა ბავშვობა ბელადმა. საკმარისია გავიხსენოთ პოემიდან ისეთი თავები, როგორიცაა „იავ-ნანა“, დედის ზღაპარი — „სისხლიანი მიწა“ და სხვა, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ პოემის პოლიტიკურ-სოციალურ სიმახვილეზე. მაგრამ მარტო ეს არ შეადგენს პოემის ღირსებას. გ. ლეონიძის ნაწარმოებში ისმის დიდი პოეტური სუნთქვა, სიძლიერე და სიახლე პოეტური სალებავებისა. ქართული მხატვრული სიტყვის მდიდარი მარაგი ამ პოემაში თავს იჩენს მთელი თავისი მრავალფეროვანებით.

როგორი იქნება ამ პოემის შემდეგი თავები, ან როგორ იდეურ-მხატვრულ ჰარმონიულობაში მოგვევლინება იგი დამთავრების შემდეგ— ამას მომავალი გვიჩვენებს. გ. ლეონიძის ნაწარმოები თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში წარმოადგენს ბიოგრაფიული პოეტური ეპოსის შექმნის პირველ ცდას.

ეს პოემა თანაბარი რიტმული წყობით არ არის დაწერილი. აქ გვხვდება 10,14 და 16 მარცვლოვანი ლექსები. ეს გარემოება უფრო მეტს სიცხოველეს აძლევს პოემას, შეაქვს მასში მრავალფეროვნება, ეპიურ თხრობას ამძაფრებს ლირიკული ინტონაციით და ღრმა ემოციური განწყობილებებით. ჩვენ სასურველად მიგვაჩნია ავტორმა მეტი სიუჟეტური გარკვეულობა შეიტანოს თავის პოემაში და მოგვცეს ისტორიულ-ბიოგრაფიული ამბავთა თანმიმდევრული განვითარება, რაც ჯერჯერობით სუსტად სჩანს პოემის გამოქვეყნებულ ნაწილებში. გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია, პოეტმა განსაკუთრებული სიმახვილით გვიჩვენოს ის დიდი იდეურ-კულტურული გარემოცვა, რომლის შიგნითაც იზრდებოდა ბელადი, რომელმაც მასში ჩამოაყალიბა ჩვენი ეპოქის უდიდესი ჰუმანისტი, რევოლუციის მგზნებარე გენიოსი, მძლავრი ინტელექტით აღჭურვილი მეცნიერი და მრავალმილიონიანი მასების შეუდრეკელი წინამძღოლი. ასეთია ის დიდი ამოცანა, რომელიც უნდა გადასჭრას გ. ლეონიძემ თავის პოემაში. დიდი მხატვრული შესაძლებლობა და შესაფერი იდეურ-მსოფლმხედველობითი დონე, რომელიც მოეპოვება ავტორს, გვაფიქრებინებს, რომ იგი მოგვცემს ნაწარმოებს, ღირსეულს როგორც აღებული თემისთვის, ისე ჩვენი, სოციალისტური ლიტერატურისათვის.

○

4. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა საპატიო თემად გადაიქცა ბევრი სხვა ქართველი საბჭოთა მწერლისა და პოეტისათვის. ამ თემამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართულ საბჭოთა დრამატურგიაშიც. აქ პირველ რიგში აღნიშნულ უნდა იქნას მწერალ-დრამატურგის შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“.

ამხანაგ სტალინის რევოლუციონური მოღვაწეობა ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, — აი ძირითადი თემა შალვა დადიანის ნაწარმოებისა. პიესაში დიდის დამაჯერებლობით არის დახატული ახალგაზრდა სტალინის სახე, მისი რევოლუციური მუშაობა ბათომის მშრომელთა შორის 1901-2 წლებში.

დრამატურგმა შესძლო ბათომის მუშების მკვეთრი ტიპების დახატვა. მან მოგვცა მათი ცხოვრების სურათები, მათი ბრძოლა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. „ნაპერწკლიდან“ წარმოადგენს დიდი მასშტაბის სოციალურ ტილოს, სადაც მკითხველი და მაყურებელი ხედავს არა მარტო მუშათა კლასის, არამედ სხვა სოციალური კლასებისა და ფენების ცხოვრებასაც. ამ პიესაში თავისი მხატვრული განსახიერება ჰპოვეს ლაკონიურმა სტრიქონებმა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან“ იმის შესახებ, რომ „1902 წლის მარტში ხდება ბათომის მუშების დიდი გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებიც მოაწყო ბათომის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა. ბათომის დემონსტრაციამ აამოძრავა ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხთა მასები“ (გვ. 34).

პიესაში „ნაპერწკლიდან“ ნაჩვენებია ახალგაზრდა ბელადის რევოლუციური მოღვაწეობა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, როგორც, მაგალითად, თბილისში 1905 წელს. პიესაში არის, სხვათა შორის, შესანიშნავი სცენა, სადაც ამხანაგი სტალინი გამოდის თბილისში მუშათა მიტინგზე. ამ დროს ამხანაგი სტალინი ამზადებდა და რაზმავდა მუშებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს მიტინგი და სტალინის გამოსვლა მთლიანად აღდგენილია დადიანის პიესაში და წარმოადგენს ერთ ძლიერ ადგილთაგანს ნაწარმოებში. პიესის ფინალად ავტორს გამოყენებული აქვს ლენინისა და სტალინის პირველი შეხვედრა. „1905 წლის დეკემბერში,—ვკითხულობთ „მოკლე კურსში“,—ფინეთში, ტამერფორსში შეიკრიბა ბოლშევიკების კონფერენცია... ამ კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ პირადად ერთმანეთს ლენინი და სტალინი...“ ეს მომენტი შესანიშნავად აქვს გამოყენებული ავტორს, რომ გვიჩვენოს „მგზნებარე კოლხიდელის“ ისტორიული შეხვედრა ბოლშევიზმის დიად ფუძემდებელთან—ლენინთან. ეს ფინალური სცენა, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს არ წარმოადგენს პიესის სიუჟეტის ორგანიულ დასასრულს, აპოთეოზივით აგვირგვინებს ნაწარმოებს და ატარებს უდიდეს შინაგან აზრს: ამიერიდან ეპოქის ორი უდიდესი ადამიანი ხელიხელ-ჩაკიდებული, ერთად, განუშორებლად გაუძღვება მსოფლიო მუშათა კლასის რევოლუციურ მუშაობას, მოამზადებს დიად ოქტომბრის რევოლუციას, შექმნის მსოფლიო ისტორიაში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს...

○

5. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ახალგაზრდა პოეტის **გრიგოლ აბაშიძის** პოემა **„შავი ქალაქის გაზაფხული“**. ეს მეტად ღია ფერებით, ხალასი პოეტური ნიჭით დაწერილი ნაწარმოები ეხება ახალგაზრდა სტალინის რევოლუციური მუშაობის ერთს მომენტს ჭიათურის მემაღაროელთა შორის. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ამიერ-კავკასიის ყველა სამრეწველო რაიონებში.... გაშალეს დიდი იდეურ - ორგანიზაციული ბრძოლა მენშევიზმის წინააღმდეგ, —ვკითხულობთ ამხ. ლ. ბერიას წიგნში,—მთელი რიგი დისკუსიები ეწყობა სხვადასხვა დროს ჭიათურაში—მარგანეცის თითქმის ყველა სამადნოში... ბოლშევიკების მხრივ ამ დისკუსიებში გამოდიოდა ამხ.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ახალი წიგნები

ალიო მაშაშვილის „ლექსები და პოემები"

სახელგამმა გამოსცა ორდენოსანი პოეტის ალიო მაშაშვილის „ლექსები და პოემები". წიგნში მოთავსებულია 58 ლექსი და სამი პოემა.

წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე და მხატვრულად კარგად არის გაფორმებული გრიგოლიას მიერ.

დავით კლდიაშვილის თხზულებანი რუსულად

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ" გამოსცა დავით კლდიაშვილის თხზულებათა ერთტომეული. წიგნში დაბეჭდილია „ქამუშაძის გასაჭირი" (თარგ. ა. ყანჩელისა), „სოლომონ მორბელაძე" (თარგ. ქ. ჩერნიავსკისა), „მიქელა" (თარგ. ა. ყანჩელისა), „მრევლში" (თარგ. ა. ყანჩელისა). წიგნს წამძღვარებული აქვს ლევან ასათიანის წერილი დავით კლდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი ილია ჭავჭავაძის შესახებ

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა სცემს დოცენტ ალ. ჩავლეიშვილის წიგნს ილია ჭავჭავაძის შესახებ. წიგნი გამოვა ამ მოკლე ხანში.

ტარას შევჩენკოს თხზულებანი აფხაზურ ენაზე

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ტარას შევჩენკოს რჩეულ თხზულებათა კრებული. წიგნში მოთავსებულია „კატერინა", „კავკასი", „სიზმარი" და ოცამდე ლექსი. შევჩენკოს ნაწერები აფხაზურ ენაზე სთარგმნეს დ. გულიამ, ლ. კვიწინიამ, ჭ. აგუმაამ და მ. აშბამ.

წიგნს წამძღვარებული აქვს დ. გულიას წერილი შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. წიგნი შეიცავს 108 გვერდს, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 4 მან. 30 კაპ.

შევჩენკოს რჩეული ლექსები და პოემები ოსურად

სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ახლახან გამოსცა ოსურ ენაზე ტ. შევჩენკოს რჩეული ლექსები და პოემები. წიგნში მოთავსებულია „კავკასი", „გამალია" და რამდენიმე ლექსი.

თარგმანი ეკუთვნით გ. და ხ. თალმაცებს. წიგნს წამძღვარებული აქვს სარედაქციო წერილი შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 86 გვერდს და ღირს ორ მანეთად.

„უნივერსიტეტის შრომები" № 9

უნივერსიტეტმა გამოსცა „უნივერსიტეტის შრომების" მე-9 ნომერი, რომელიც მთლიანად შესდგება ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომებისაგან.

შრომები მიძღვნილია სახელოვანი ლენინური კომკავშირის 20 წლის თავისადმი.

როგორც შრომების წინასიტყვაობაშია ნათქვამი, უნივერსიტეტს გადაწყვეტილი აქვს, სისტემად შემოიღოს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა მეცნიერული შრომების ბეჭდვა.

კრებულში მოთავსებულია 12 ნაშრომი, მათ შორის: ტ. რუხაძის „რუსულ ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი მეთვრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტის დამდეგს", დ. კობიძის „სამანიდების დროის მწერლობის ხასიათისათვის", მ. ჩიქოვანის „ტოპონიმიკური ლექსიკონი", ა. კიკვიძის „მე-12 საუკუნის საქართველო" და სხვა.

წიგნი შეიცავს 220 გვერდს, ღირს 10 მანეთად.

ჭანური ტექსტები

მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის გამომცემლობამ გამოსცა იოსებ ყიფშიძის ნაშრომი „ჭანური ტექსტები" (ანდაზები, ზღაპრები და თქმულებები), რომელიც განსვენებულმა პროფესორმა ჩაიწერა 1917 წელს ჭანეთში (ლაზისტანში). წიგნი გამოცემულია პროფესორ იოსებ ყიფშიძის გარდაცვალებიდან 20 წლისთავთან დაკავშირებით. წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის პროფ. არნოლდ ჩიქობავას წერილი: „პროფ. ი. ყიფშიძე და ჭანურის მეცნიერული შესწავლა".

წიგნში მოთავსებულია: „ხოფური კილოკავი", „ვიწურ არაბული კილოკავი" და „ათინური კილოკავი". წიგნი კარგადაა გამოცემული.

ისტორიული თემები ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში

(დასასრული)

სტალინი. ჭიათურის დისკუსიებში მენშევიკებმა სრული დამარცხება განიცადეს. სოციალ-დემოკრატ მუშათა დიდი უმრავლესობა ბოლშევიკებს მიემხრო" (გვ. 53-54, მესამე გამოცემა). გრ. აბაშიძის პოემაში ასახულია სწორედ ეს მომენტი სტალინის რევოლუციური მუშაობისა „შავ ქალაქში", ე. ი. ჭიათურასა და მის მაღაროებში. პოემაში ჩვენ ვხედავთ ჭიათურის მემაღაროელთა ველური ექსპლოატაციისა და მძიმე ცხოვრების შავ-ბნელ სურათებს მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში, მუშების გამოღვიძებას და რევოლუციონურ ბრძოლაში ჩაბმას ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებით მძლავრ მომენტს პოემაში წარმოადგენს შესანიშნავი სცენა სტალინის გამოსვლისა მუშათა მიტინგზე მენშევიკების წინააღმდეგ.

„იგი აქამდე მუშებში იჯდა,
წამოდგა მტრისთვის ანაზდეული
გაიყო წრე და ღიმილით, დინჯად,
ის მოდიოდა თვალანთებული.
შედგა, გულმკერდი გადაღეღოდა,
თმა ჩამოშლოდა ხშირი,
თვალტანადს,
მკლავი გაეძრო ცალ სახელოდან
და ხელში ჰქონდა წიგნი პატარა.
გაშალა ხელი, როგორც არწივი
ფრთას გაშლის ხოლმე
დამშვიდებული,
რა ბრძნული იყო სიტყვა მარტივი,
რა აზრიანი, რა დიდებული!
შემოეხვიენ, გადიქცნენ სმენად,
და შეჰყურებდნენ ფართო
მხრებიანს,
ასე უმზერენ მზის გამოჩენას,
და მზის ამოსვლას ასე ხვდებიან"...

გრიგოლ აბაშიძის პოემაში მთელ რიგ ეპიზოდებში გამოხატულია მშრომელთა სიყვარული ახალგაზრდა სტალინისადმი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთი სცენა, სადაც საიდუმლო მიტინგიდან დაბრუნებული სტალინი გულუხვ მასპინძლობას პოულობს იმერელი გლეხის ოჯახში:

„ყველამ შესვა თითო-თითო,
გამოცალეს თითო წყება,
ფეხზე დგება მასპინძელი,
იცინის და ილოცება:
— იდღეგრძელე, ჯუღაშვილო,
სიტყვას ამბობს გაწაფული,
— შენ სინათლე მოგვიტანე
და პირველი გაზაფხული!
იდღეგრძელე, შენს სახელზე
ათასი მზე ენთოს მეტი,
შავ მაღაროს სიბნელეში
შენ შუქივით შემოხვედი-
შენ თვალები აგვიხილე,
ბინდით გვქონდა დაბინდული,
კაცობაში დაგვაჯერე,
ვაგვიცოცხლე მკვდარი გული!
მწუხრვალები გეწაფებით,
ძლივს გიპოვეთ წმინდა წყარო,
სიკვდილამდის შენი გვჯერა,
გაგვიძეხი, წინამძღვარო!

გრ. აბაშიძის პოემა დაწერილია მეტად მსუბუქი, ამღერებული ლექსით, ხალისიანი, ნათელი საღებავებით არის იგი შეფერილი თავიდან ბოლომდე და შიგადაშიგ მკვირცხლი იუმორით მოელვარე. რაც მთავარია, პოემაში მოსჩანს ახალგაზრდა სტალინის მომხიბლავი და ძლევამოსილი ფიგურა. მისი შეუდრეკელი ნებისყოფა, მისი მგზნებარე სულიერი ძალა მშრომელი მასების მტრებთან ბრძოლაში. ეს იდეურ-მხატვრული ღირსებები ანიჭებენ ამ თავისი მოცულობით პატარა პოემას შესამჩნევს ადგილს ჩვენს ლიტერატურაში.

ჩვენ განვიხილეთ ზოგადად, რამდენადაც ამის საშუალებას საგაზეთო წერილის ფარგლები გვაძლევდნენ, სამი საყურადღებო ნაწარმოები ქართული საბჭოთა ლიტერატურისა — ორი პოემა და ერთი პიესა. ამ ნაწარმოებთა შინაარსი იშლება იმ ისტორიული ეპოქის ფონზე, რომელსაც მოიცავს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირველი ორი თავი (1883-1901 და 1901-1904 წლები).

ჩვენ მიერ გარჩეული რამდენიმე ნაწარმოები, როგორც ვთქვით, სრულიად არ არის საკმარისი, რათა ჩვენმა თანამედროვეობამ სრული წარმოდგენა იქონიოს დასახელებულ ეპოქაზე. გ. ლეონიძის პოემა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და ამიტომ ჯერჯერობით არ შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული ეპოქის ამსახველ მხატვრულ დოკუმენტად. გრ. აბაშიძის პოემაში მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებს ვხედავთ ბელადის რევოლუციური მოღვაწეობიდან ჩვენი მუშათა კლასის მოძრაობის გარიჟრაჟზე. უფრო მეტი მხატვრული მთლიანობით გვევლინება შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან", მაგრამ, ცხადია, ვერც ამ ნაწარმოებს შეუძლია იქონიოს პრეტენზია ეპოქის სრულყოფილი სურათის მოცემისა და მით უმეტეს ბელადის რევოლუციური მუშაობისა, მისი ისტორიული ღვაწლისა და დამსახურების დახატვისა მისთვის შესაფერი პოეტური საღებავებით და შემოქმედებითი ჩაწვდომით.

ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა იზრდება, დღითიდღე ძლიერდება. იგი ამდიდრებს ჩვენი კულტურის საგანძურს სულ ახალი და მაღალმხატვრული ნაწარმოებებით. და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ იგი შესძლებს თანამედროვე ცხოვრებასთან ერთად დიდ პოეტურ ტილოებში ასახოს აგრეთვე სინამდვილე იმ გარდასული ეპოქისაც, რომელსაც ლენინმა წერილში ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ უწოდა „ეპოქა რევოლუციის მომზადებისა მებატონეთა მიერ დათრგუნვილ ერთერთ ქვეყანაში" (ტ. 14).

ლენინი და სტალინი ხალხურ სახვით ხელოვნებაში

(მოსკოვი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა მოაწყო საკავშირო გამოფენა თემაზე: **ლენინი და სტალინი** ხალხურ სახვით ხელოვნებაში.

გამოფენის ექსპონატები განაწილებულია ოთხ დიდ დარბაზში. პირველ დარბაზში გამოფენილია სურათები, ბიუსტები, ხეზე, ლითონზე, ძვალზე და ნაქსოვზე ამოყვანილი ნამუშევრები, რომლებიც ეხებიან **ლენინისა და სტალინის** ბავშვობას და ჭაბუკობას. მეორეში ნაჩვენებია სამოქალაქო ომების პერიოდი, მესამეში — აღდგენითი პერიოდი და მეოთხეში — სოციალიზმის გამარჯვების ეპოქა.

ოქტომბრის დიდმა **სოციალისტურმა** რევოლუციამ უდიდესი გასაქანი მისცა ხალხის ნიჭისა და ენერგიის გამოვლინებას. გამოფენა ამის საუკეთესო დადასტურებაა. ოთხი ვრცელი, მაღალკედლებიანი დარბაზი ნათლად მეტყველებს ხალხის მხატვრული შესაძლებლობისა და გემოვნების შესახებ, ნიჭისა და გაქანების შესახებ.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე **ლენინის, სტალინისა** და **ვოროშილოვის** მონუმენტალური ქანდაკებები. ამ ქანდაკებების ავტორი გ. პეტინია, 29 წლის კაცი, სპეციალობით მშენებელი, ბეტონის მუშა. ეს პირველი სკულპტურული ნაწარმოებებია პეტინისა. გამოფენაზე უხვად არის წარმოდგენილი ექსპონატები **ლენინის** ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. პოზდიევას (დიასახლისი), კორნეევის (მუშა-ზეინკალი), ზაიკენის (ტექნიკოსი) და სხვათა ნამუშევრები.

ხალხური შემოქმედების ნიმუშებში ნათლად არის აღბეჭდილი დიდი **ლენინის** მიმზიდველი და სამარადისოდ დაუვიწყარი სახე.

ხალხური შემოქმედების ოსტატები დიდი აღფრთოვანებით გამოხატავენ ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ცხოვრების ეპიზოდებს. აი ერთი სურათი: 1902 წელს **სტალინი** ამზადებს გაფიცვას და დემონსტრაციას ბათომში. **სტალინი** ხის ქვეშ დგას და ესაუბრება ბათომელ რევოლუციონერებს გაფიცვის შესახებ. ეს სურათი ეკუთვნის შ. გ. ზაზიაშვილს, 20 წლის ახალგაზრდას, მუშას.

„**სტალინი** ტურუხანსკის გადასახლებაში". სურათის ავტორია 30 წლის მუშა სერგეევი.

ხეზე ამოკვეთილია რთული კომპოზიციის სურათი: „**სტალინი** ქუთაისის ციხეში 1903 წ." სურათი საუცხოოდ არის შესრულებული. იგი ეკუთვნის მოსამსახურეს—გ. ავალიშვილს.

სტალინი 1917 წელს, **სტალინი** სამოქალაქო ომის ფრონტზე, **კიროვი** ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის, **ს. ორჯონიკიძე**, — ფრონტზე,—ასეთია გამოფენის თემატიკა.

მესამე დარბაზში გამოფენილია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის დამახასიათებელი ექსპონატები.

ლენინის სამუშაო ოთახი კრემლში, **ლენინთან** მოსულან მუშები და სთხოვენ რჩევა-დარიგებას მეურნეობის მოწესრიგებისათვის.

ლენინის გამოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე. კომკავშირელები გულისყურით უსმენენ ბელადს. ეს სურათი ცხადჰყოფს მუშა დიადიუშენკოს მხატვრულ ფანტაზიას, ალღოსა და დაკვირვებას.

ამ დარბაზის მშვენებაა ფართო ტილო, მრავალნაირად აფერადებული. მოსჩანს წითელი დროშა. დროშას მოაფრიალებს გლეხი. ცენტრში დგას **სტალინი**. მის გარშემო მოგროვილან საბჭოთა კავშირის ნაციონალური რესპუბლიკების წარმომადგენელნი.

აგერ უკრაინელი კოლმეურნის ჩერედნიკის რეალისტური, ღია ფერებით შესრულებული სურათი: „**სტალინი, ლ. კაგანოვიჩი** და **ს. ორჯონიკიძე** ათვალიერებენ პირველი ტრაქტორის ნიმუშს".

ო. ა. ჩაჩუა-სელეზნიოვას სურათში ნათლად გამოსჭვივის დიდი **სტალინის** სიყვარული ბავშვებისადმი.

1937 წ. 11 დეკემბერი. უმაღლეს საბჭოს დეპუტატების არჩევის წინადღე. **სტალინის** გამოსვლა მოსკოვის ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრში. ამ სურათის ავტორი მუშა სერეჟენკო საუკეთესო მხატვარია.

აი სურათი მარადიშვილისა. იგი მეტყველებს ბედნიერ ცხოვრებაზე. კულტურული და კეთილმოწყობილი სოფელი. გრძელ სკამებზე აყვავებულ ბაღში სხედან ბედნიერი კოლმეურნენი და რადიოთი ისმენენ ამხანაგ **სტალინის** მოხსენებას საბჭოების მერვე საკავშირო საგანგებო ყრილობაზე.

მეტად ორიგინალურია მოსამსახურის ლ. რამიშვილის მიერ შესრულებული **ლ. პ. ბერიას სურათი.**

სხვადასხვა ფერის ტყავის ნაჭრებისაგან მოზაიკურად გამოყვანილია **ლ. მ. კაგანოვიჩის პორტრეტი.**

დიასახლისის მიერაა დახატული **ვ. მ. მოლოტოვის** სურათი.

გამოფენაზე სულ წარმოდგენილი იყო 10 ათასი ნამუშევარი.

ადგილებზე შერჩეულ და მოსკოვში გადმოგზავნილ იქნა 2 ათასი ექსპონატი, გამოფენის კომიტეტმა ამოარჩია საუკეთესოები რიცხვით 250 ცალი და გამოჰფინა ოთხ დიდ, ნათელ და ლამაზ დარბაზში.

გამოფენის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, სურათები ნაციონალურ რესპუბლიკებსაც უჩვენოს. ასე რომ თბილისელებიც ნახავენ ამ გამოფენას.

გ. გიასელი.

ქართველი მწერლები უდაბნოს მეურნეობაში

6 მაისს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობას, ამ მეურნეობის მიწვევით, ესტუმრა მწერალთა ერთი ჯგუფი.

უდაბნოში მწერლებს დახვდნენ მეურნეობის დირექტორი ამხ. დიანოზ ნიკოლაიშვილი და მეურნეობის სტახანოველი მუშაკი, ზოოტექნიკოსი ირაკლი სიფროშვილი, მწყემსები-ბრიგადირები ძმები ფილაურები და სხვა მუშაკები, რომელთა თანხლებით მწერლებმა დაათვალიერეს მეცხოველეობის მეურნეობა.

უდაბნოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა ერთერთი უდიდესი მეურნეობაა საქართველოში. 1927 წელს, დაარსებისას, იგი პატარა მეურნეობა იყო, ამჟამად-კი მას ჰყავს 35 ათასი ცხვარი, 500 მსხვილფეხა და სხვა საქონელი. მეურნეობის წლიური ბრუნვა რამდენიმე მილიონ მანეთს აღწევს.

სტუმრებმა დიდის ინტერესით დაათვალიერეს ცხვრის სხვადასხვა ჯიში: მერინოსის, მერინოსისა და ჩუმური ცხვრის შეჯვარების რამდენიმე თაობანი, რომელიც უმაღლესი ხარისხის ნაზ მატყლს და მეტად გემრიელ ხორცს იძლევა, ანგორის ჯიშის თხები. მწერლები გაეცნენ ცხვრის საღგომებს, საკვებ მასალას და სხვას.

საბჭოთა მეურნეობის დათვალიერების შემდეგ მწერლები გაემგზავრენ დავით გარეჯის მონასტრის დასათვალიერებლად.

მწერლებს მონასტერში დახვდა მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ექსპედიცია. ექსკურსიის წევრებმა აკადემიის კორესპონდენტმა აკაკი შანიძემ და პროფ. ნიკო ბერძენიშვილმა, დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მისცეს მწერლებს მონასტრის შესახებ.

დავით გარეჯის მონასტერი შენდებოდა მეექვსე საუკუნიდან მე-13 საუკუნემდე. მონასტერი თავისებურადაა აგებული. გზიდან იგი მოსჩანს გორაკზე მდგომ სრულიად უბრალო პატარა კოშკად. მაგრამ შიგ შესვლისას თქვენ თვალწინ იშლება უზარმაზარი ნაგებობა, რომელიც მთლიანად გამოთლილია კლდეში და რომელსაც მიშენებული აქვს აგურის შენობები. არის იქ ტაძრები, სამლოცველოები, წყლის უზარმაზარი აუზები, საყოფაცხოვრებო შენობები, საჯინიბოები, თორნეები, წყალსადენის მოწყობილობანი, თავდასაცავი კოშკები, უზარმაზარი თაღებიანი დარბაზები.

აქა-იქ ჯერ კიდევ დაცულია მხატვრობა და, როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სთქვეს, მონასტრის ზევით კლდეში შეჭრილ 40 საკანში ეს მხატვრობა უფრო დაცული უნდა იყოს.

გარდა ამ მონასტრისა, მის გარშემო რამდენიმე სხვა მონასტერიც არის. ალბად, ძველად ესენი მონასტრის ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენდნენ.

საკვირველია,რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი აღრიცხვაზე არა აქვს აყვანილი საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტს, თუმცა უდაბნოს საბჭოთა მეურნეობამ ამის შესახებ შუამდგომლობაც აღძრა.

მ. ლორთქიფანიძე.

მოთხრობები სკოლამდელთათვის

ქართული საბავშვო მხატვრული ლიტერატურა სკოლამდელთა ასაკისათვის მეტად მცირეა. სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებები სარგებლობენ უმთავრესად ჯგუფის ხელმძღვანელების (მასწავლებლების) მიერ გადაკეთებული ან შეთხზული ნაწარმოებებით, რაც მეტწილად მხატვრული ფორმით, ლექსიკონით და შინაარსით ვერ აკმაყოფილებს ბავშვთა აღზრდის საპასუხისმგებლო მოთხოვნილებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საბავშვო მწერლები და საბლიტგამი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საბავშვო ლიტერატურის ამ დარგს, რაც ობიექტურად ხელს უწყობს სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებებში — საბავშვო ბაღებში — არა მხატვრული, გაუმართლებელი, ცალკეული ხელმძღვანელის მხატვრულ „გემოვნებაზე" შეთხზული ნაწარმოებების ფართოდ გამოყენებას. მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციამ უკანასკნელ პერიოდში საბავშვო მწერლების წინაშე გაამახვილა ეს საკითხი. მიუხედავად ამისა, არსებითი ცვლილება ჯერ კიდევ არ მომხდარა.

საინტერესოა მწერალ ანა ხახუტაშვილის (ცქვიტი) მუშაობა. მან დასწერა ათი პატარა მოთხრობა სკოლამდელთა ასაკისათვის. საბავშვო ლიტერატურის სექციამ ამ დღეებში მოაწყო მოთხრობების განხილვა სექციის სხდომაზე, რომელსაც, გარდა მწერლებისა, დაესწრნენ საბავშვო ბაღის მასწავლებლები. ხახუტაშვილის მოთხრობებმა ინტერესი გამოიწვია მწერლებში და მასწავლებლებში. თავიანთ სიტყვებში მწერლებმა (გ. ქუჩიშვილმა, ნ. ნაკაშიძემ, პ. კეშელავამ, ერ. ასტვაცატუროვმა, მ. ბარათაშვილმა და სხვ.) და მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს მოთხრობების მხატვრულ ღირსებას, შესატყვის ლექსიკურ მასალას და შინაარსობრივად და ფორმალურად საინტერესო მოფიქრებას. მიუთითეს მხოლოდ ასაკობრივი თვალსაზრისით მოთხრობების უფრო გარკვევით დაყოფის აუცილებლობაზე. ამასთან გამოირკვა, რომ მოთხრობების მეტი წილი აკმაყოფილებს საბავშვო ბაღების ნორჩ ჯგუფისა და დაბალი სასკოლო ასაკის ბავშვთა მოთხოვნილებას. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საბავშვო ბაღებისა და მათი ჯგუფებისათვის საჭირო მოთხრობებისა და ლექსების წერას.

მწერალთა კავშირის საბავშვო სექციამაც და საბლიტგამმაც უნდა გააცხოველონ თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით.

საზღვარგარეთ

გონკურების რომანის ეკრანიზაცია

საფრანგეთის ერთ-ერთი კინო ორგანიზაცია ამზადებს დასადგმელად ფილმს ძმათა გონკურების რომანის „ქალწულ ელიზას" მიხედვით. ფილმში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს ცნობილი ფრანგი კინომსახიობები. გონკურების აკადემიამ, რომელმაც ფილმის გადაღებას თვალყური უნდა ადევნოს, მოითხოვა, რომ რომანის სიუჟეტი ეკრანზე გადატანილ იქნას სრულიად უცვლელად.

მაგრამ ბოლოს აკადემია იძულებული გახდა დასთანხმებოდა ცენზურას, რომლის აზრითაც რომანის სიუჟეტი „ძალზე რეალისტურია" და საჭიროებს „შერბილებას".

ეველინა განსკაიას ბიოგრაფია

არმან კოლენის პარიზის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა პოლონელი მკვლევარის კორვინ-პიოტროვსკაიას წიგნი „ეველინა განსკაია-ბალზაკი" (ამ ავტორს ეკუთვნის ორი ნაშრომი ბალზაკზე: „ბალზაკი და სლავური ქვეყანა" და „ბალზაკი პოლონეთში"). 1832 წლის 28 თებერვალს 33 წლის ბალზაკმა თავის ბინაზე ნახა ეველინა განსკაიას პირველი წერილი „უცნობელის" ხელისმოწერით. 18 წლის შემდეგ, ხუთი თვით ადრე ბალზაკის გარდაცვალებამდე, ეველინა განსკაია ბალზაკის მეუღლე გახდა.

განსკაიასთან დაახლოვებამ უდიდესი გავლენა იქონია ბალზაკის ცხოვრებისა და შემოქმედების მეორე ნახევარზე. კორვინ-პიოტროვსკაიას გამოკვლევის მიხედვით, ბალზაკის ნაწარმოებები: „ევგენია გრანდე", „აბსოლუტის ძიებაში", „სერაფიტა", „მოდესტ მინიონი", „სოფლის მღვდელი" და „გლეხები" იქმნებოდნენ ეველინა განსკაიას განსაკუთრებული გავლენის ქვეშ.

ფრანგული ჟურნალ-გაზეთების აზრით, კორვინ-პიოტროვსკაიას ეს ახალი წიგნი ნათელს ხდის ბალზაკის ბიოგრაფიის ისეთ მომენტებს, რომლებიც მანამდე გაუშუქებელი იყო.

„საშემოდგომო სალონის" გამოფენა პარიზში

გასულ წელს, ბინის უქონლობის გამო, კინაღამ ჩაიშალა პარიზის „საშემოდგომო სალონის" გამოფენის მოწყობა. როგორც ცნობილია, პარიზში თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებისათვის არ არსებობს სპეციალური საგამოფენო შენობა, მაშინ, როცა მხატვრების რიცხვი საფრანგეთში 30.000 კაცამდე აღწევს.

მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ოსტატების ნამუშევრები დროგამოშვებით მაინც პოულობენ თავშესაფარს ტიუილრის სურათების გალერეიაში, ხოლო თანამედროვე ფრანგ მხატვართა გამოფენები მოგზაურობენ პარიზის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. ასეთი გამოფენა ჩვეულებრივად ეწყობა ხოლმე „გრან პალე დე პარის" შენობაში, რომელიც დანიშნულია ავტო-მოდელებისა და სამეურნეო ხასიათის ელექტრო-მოწყობილებების გამოსაფენად. 1938 წელს ამ შენობაში მოეწყო ათტონიანი საბარგო ავტომობილებისა და ახალი სამრეწველო მანქანების გამოფენა, რის გამოც იძულებული გახდნენ „საშემოდგომო სალონი" მოეთავსებინათ ანთროპოლოგიური მუზეუმის ფლიგელში.

„საშემოდგომო სალონის" ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშები, ნიმუშები „დამოუკიდებელი" ინგლისური ხელოვნებისა (30 წლის განმავლობაში იგი ფრანგულ ფერწერის ბრმა გავლენას განიცდის), მხატვრული და უტილიტარული ავეჯი, თეატრალური დეკორაციები. ამავე გამოფენაზე წარმოდგენილია კუბისტებისა და სხვა სახის აბსტრაქტული ფერწერის ნიმუშები.

ფრანგული კრიტიკის შეფასებით, 1938 წლის სალონის გამოფენის „ენციკლოპედიური" ხასიათი ძალიან ამსგავსებს მას უნივერსალურ მაღაზიას, მოდების ბაზარს ან ატელიეს.

ფერწერის დარგში „1938 წლის სალონის" ლოზუნგი იყო შარდენის, კოროს და კურბეს ტრადიციებისაკენ, „დიდი ხელოვნებისაკენ" დაბრუნება.

შექსპირის საღამოები უნივერსიტეტში

9 მაისს **სტალინის** სახელობის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოაწყო შექსპირის დაბადებიდან 375 წლის აღსანიშნავი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა დ. ყიფშიძემ. მოხსენება შექსპირის შემოქმედების შესახებ წაიკითხა პროფ. კ. კაპანელმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მეფანდურეთა ტრიომ, მსახიობებმა და სტუდენტებმა.

მეტად საინტერესო საღამო მოაწყო უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპის ლიტერატურის კათედრამ 10 მაისს ინგლისურ ენაზე. მოხსენებები წაიკითხეს მე-5 კურსის სტუდენტებმა ა. შოშიაშვილმა—„შექსპირის შემოქმედება" ქარჩილაძემ — „ოტელო და იაგო" და მე-4 კურსის სტუდენტმა ნათელა კეშელავამ — „მეფე ლირი". შექსპირის სონეტების ქართული თარგმანები წაიკითხეს მ. ყიფშიძემ, ძიგვაშვილმა და ა. საჯაიამ.

დასასრულ, მოკლე საბოლოო სიტყვით გამოვიდა პროფ. ერეკლე ტატიშვილი.

მაქსიმ გორკის „რუსული ლიტერატურის ისტორია"

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა სცემს მაქსიმ გორკის ისტორიულ ლიტერატურულ ნაშრომს „რუსული ლიტერატურის ისტორია". ეს შრომა მთლიანად პირველად ქვეყნდება ხელნაწერის მიხედვით.

„რუსული ლიტერატურის ისტორია", რომელიც 20 ნაბეჭდ ფურცელს შეიცავს, იწყება შესავალი წერილით, რომელშიაც მ. გორკი განმარტავს ლიტერატურის რაობას და მოხაზავს რუსული ლიტერატურის განვითარების მთავარ გზებს.

ნაშრომის პირველი ნაწილი მიძღვნილია მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურისადმი. მეორე ნაწილი შეიცავს პერიოდს დეკაბრისტებიდან გერცენამდე, მესამე ნაწილი—60-იან წლებიდან ლევ ტოლსტოიმდე.

„რუსული ლიტერატურის ისტორიას" სცემს მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ლუპოლის საერთო რედაქციით.

ახალი კომედია

სეზმან ერთაწმინდელმა დასწერა ახალი სამმოქმედებიანი კომედია. პიესის თემად ავტორს აღებული აქვს თანამედროვე ყოფა და სპორტი.

საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ლიტერატურული შეხვედრანი

იაკობ ბალახაშვილი

სენატის მოედანზე 1825 წლის 14 დეკემბერს მომხდარი ამბის გამო დანიშნული გამოძიების დამთავრებისთანავე პასუხისგებაში მიცემული პირნი, ხუთი კაცის გამოკლებით, რომლებსაც სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, დანაშაულისა და მსჯავრის მიხედვით თერთმეტ წყებად იქნენ დაყოფილნი.

ფელდეგერებისა და ჟანდარმების თანხლებით დეკაბრისტთა გადასახლება და გაგზავნა ქალაქ პეტერბურგიდან დაიწყო 1826 წლის 21 ივნისს და დასრულდა იმავე წლის 4 აგვისტოს.

კავკასიაში თავდაპირველად გამოგზავნილ იქმნენ ბორის ბოდისკო და ნიკოლოზ ორჟიცკი. 1826 წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ორენბურგის გარნიზონებიდან საქართველოში ჩამოვიდნენ პეტრე ბესტუჟევი, ალექსი ვედენიაპინი, თედორე ვიშნევსკი და ნილ კოჟევნიკოვი.

შემდეგი წლის იანვარში ციმბირის გარნიზონებიდან მოვიდნენ ნიკოლოზ აკულოვი, პეტრე კონოვიცინი, მატვეი ლაპპა, მიხეილ პუშჩინი, ალექსანდრე ფოკი და ნიკოლოზ ცებრიკოვი. 1827 წლის აპრილში ჩამოვიდა ეპაფროდიტ მუსინ-პუშკინი.

თურქეთთან ომის დროს, 1828 — 1829 წლებში, დეკაბრისტების რიცხვი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშნულ დროისათვის ტფილისში საცხოვრებლად გადმოვიდნენ ალექსანდრე პერსტელი' ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი, ვლადიმერ ოდოევსკი, ზახარ ჩერნიშევი, ვლადიმერ ტოლსტოი, ნიკოლოზ რაევსკი, ვლადიმერ ვალხოვსკი და სხვანი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები ჟანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ისინი მაინც ახერხებდნენ ერთად თავის მოყრასა და მსჯელობას.

მცირე ხნის შემდეგ დეკაბრისტთა ამ შეხვედრებმა მტკიცე ლიტერატურული წრის სახე მიიღეს. აღნიშნული წრის წევრებმა მალე ტფილისის მოწინავე ინტელიგენციის საერთო სიყვარული და ყურადღება დაიმსახურეს.

თედორე ტორნაუ სწერს: „ადამიანთა იმ წყებას, რომლებსაც ნაირფეროვანება შეჰქონდათ ჩვენს წრეში, ეკუთვნოდნენ ბევრნი იმ დეკაბრისტებიდან, რომლებიც, სამშობლოდან გადმოსახლებულნი, თავიანთი სასჯელის უკანასკნელ წლებს იხდიდნენ კავკასიაში. ეს იყო ხალხი, რომლის უმრავლესობას მიღებული ჰქონდა მეტად კარგი აღზრდა. როგორ შეიძლებოდა გაგვეცნოთ და არ შეგვეყვარათ წყნარი, ყურადღებიანი კორნილოვიჩი, მწერალი ანდრეი ბეზიმიანი, თვინიერი ნარიშკინი, კონოვიცინი, ენამახვილი ოდოევსკი, გულკეთილი ვალერიან გალიცინი და სხვანი". [1]

ალექსანდრე განმგებლოვის ცნობით, დეკაბრისტთა ლიტერატურული წრის „საღამოები ემსგავსებოდნენ ისკრიცკის „სამშაბათებს" პეტერბურგში". [2]

დეკაბრისტთა წრის შეკრებანი და სხდომები იმართებოდა, როგორც ტფილისში, ისე სამხედრო ნაწილების ლაშქრობის დროსა და ბრძოლის ველზედაც.

თურქეთთან ომის დაწყებისთანავე დეკაბრისტებმა მომქმედ არმიაში გადაყვანა ითხოვეს. სულ მალე ისინი არზრუმს მიუახლოვდნენ, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ რაევსკისა და 14 დეკემბრის სხვა მონაწილეთა სანახავად ჩამოვიდა პოეტი პუშკინი.

რაევსკის კარავში ყოველ საღამოთი უკვდავი რუსი პოეტის თანადასწრებით ეწყობოდა ლიტერატურული წრის მორიგი შეკრებანი. ამ შეკრებებზე იმართებოდა სხვადასხვა სახის ლიტერატურული კამათი, გარჩევა და კითხვა, როგორც საკუთარ ისე სხვათა თხზულებებისა; დაკვრა, სიმღერა, ცეკვა, ოხუნჯობა და კალამბურები. პუშკინი, რომელსაც თან ჰქონდა ნაწილი თავისი ლიტერატურული არქივისა, ხშირად გამოდიოდა საკუთარ თხზულებათა კითხვით.

პოეტი მიხეილ იუზეფოვიჩი იგონებს: „ბორის გოდუნოვი" და „ონეგინის" უკანასკნელი ნაწილის ნაწყვეტები თვით პუშკინმა წაგვიკითხა. „ბორის გოდუნოვის" კითხვის დროს სასაცილო ამბავი მოხდა. დამსწრეთა შორის იმყოფებოდა გენერალი მ. ი., რომელიც ცნობილი იყო ყოველთ-უწინარეს თავისი პედანტობით.

როდესაც პუშკინი იმ სცენას კითხულობდა, სადაც ცრუმარქვია აღიარებს მარინას წინაშე, რომ მე ნამდვილი დიმიტრი არა ვარო, გენერალმა თავი ვეღარ შეიმაგრა და პუშკინი შეაჩერა: ნება მომეცით, ალექსადრ სერგეისძევ, მოგახსენოთ: აგრე გაუფრთხილებლად რად იქცევა ეგ ცრუმარქვია, მაგ ქალმა რომ გასცესო. პუშკინმა დაუფარავის წყენით უპასუხა: მოითმინეთ და ნახავთ, რომ არ გასცემსო. ამის შემდეგ პუშკინმა გადაჭრით გამოგვიცხადა, როცა აქ მ... იქნება, აღარაფ წავიკითხავო. შემდეგში, როდესაც ჩვენთვის „ონეგინი" უნდა წაეკითხა, კარავთან მენიშნებლები დავაყენეთ, რომ ეცნობებინათ, თუ კინიცობაა მ. ჩვენსკენ წამოვიდოდა. წამოვიდა კიდეც, მაგრამ ნიშნის მიღებისთანავე რაევსკის კარავიდან ყველანი დავიფანტეთ. მ. მოვიდა, ცარიელი კარავი დახვდა და ისევ უკან გაბრუნდა. იმის წასვლის შემდეგ ისევ შევიკრიბენით და კითხვა დავასრულეთ". [3]

თურქეთთან ომის შეწყვეტისთანავე დეკაბრისტებმა თავი მოიყარეს ტფილისში. ისინი იკრიბებოდნენ ხან ერთთან, ხან მეორესთან ბინაზე.

„1830 წლის ზამთარში, — გვიამბობს ალექსანდრე განგებლოვი, — მოეწყო ისე, რომ რამდენიმე დეკაბრისტი, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ტფილისის გარნიზონებს სხვადასხვა საპატიო, არა საპატიო მიზეზით სცხოვრობდნენ ტფილისში.

ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი იმხანად ის-ის იყო იკურნებოდა მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან, რომელსაც მკურნალობდა ექიმი დეპნერი. ბესტუჟევთან სცხოვრობდნენ მისი ძმები პეტრე და პავლე.

ამათ გარდა ტფილისშივე სახლობდნენ მიხეილ პუშკინი, ნიკოლოზ ორჟიცკი, ეპაფროდიტ მუსინ-პუშკინი, გრაფი მუსინ-პუშკინი, ნილ კოჟევნიკოვი, თედორე ვიშნევსკი და სხვანი. ჩვენ ვიკრიბებოდით ხან ერთთან, ხან მეორესთან, უფრო ხშირად კი ჩემთან ბინაზე, კვირაში ორჯერ და ხანდახან მეტჯერაც. ვისტი და ჭადრაკი, სხვადასხვა სახის საუბარი, ანეგდოტებისა და სახუმარო ამბების თხრობა არ ნელდებოდა მთელი საღამოს მანძილზე". [4]

წრე ხშირად თავს იყრიდა ნიკოლოზ პაველსძე ტ... ვ-თან.

დეკაბრისტთა ლიტერატურული წრის წევრი მოგვითხრობს: „ნიკოლოზ პავლესძე ტ... ვი გვიწვევდა ჩვენ ხშირად თავის ბინაზე ლიტერატურულ საღამოებზე. ვრცელ ოთახში კედელთან მდგარი ფართო და რბილი სავარძელი საშუალებას იძლეოდა შესამჩნევი ვყოფილიყავით ჯდომისა და წოლის შემთხვევაში. ოთახის შუა ადგილას იდგა მწვანე მაუდგადაფარებული დიდი მაგიდა, რომლის ზემოთაც ჭერზე ჩამოკიდებული ერთადერთი ლამფა კაშკაშით ანათებდა მკითხველის სახეს, ხოლო მსმენელთ იდუმალ წყვდიადში სტოვებდა". [5]

ერევნის მოედანზე ალექსანდრე ბესტუჟევის სახლის მახლობლად ტფილისში მყოფ დეკაბრისტებს ჰქონდათ ერთ-ერთი შესაკრები პუნქტი — ეს იყო ბინა დავიერისა.

„გრაფმა დავიერმა, — სწერს ტორნაუ,— ცუკატოსთან ერთად დაიქირავა ერევნის მოედანთან მდებარე ხევის თავზე მდგარი პატარა წითელი სახლი. გრაფი იყო მეტად კარგი პიანისტი და სულ მალე მის გარშემო შემოიკრიბნენ მუსიკის მოყვარულნი, რომლებიც სიამოვნებით ყურს უგდებდნენ მის შესანიშნავ დაკვრას". [6]

ყველაზე უფრო სისტემატურად დეკაბრისტები იკრიბებოდნენ პატიმულ დეკაბრისტის გენერალ ნიკოლოზ ნიკოლოზისძე რაევსკისთან.

მიხეილ ბესტუჟევი გვიამბობს: „ტფილისში მცხოვრებმა გენერალმა რაევსკიმ გაავსო თავისი შტაბი უმთავრესად დეკაბრისტებით და გადმოსახლებული ოფიცრებით. ყველა მათ და იმათაც, რომლებიც ამ შტაბში არ იმყოფებოდნენ, ის ალერსიანად ღებულობდა თავის ბინაზე". [7]

კიდევ ერთი ადგილი, სადაც თავს იყრიდნენ დეკაბრისტთა ლიტერატურული წრის წევრები, იყო ბინა გენერალ ვლადიმერ ვოლხოვსკისა. ჩვეულებრივად შეხვედრა ვოლხოვსკისთან ატარებდა ლიტერატურული სადილის ხასიათს.

დეკაბრისტთა შეხვედრა-შეკრებებს ტფილისში ბოლო მოეღო 30-იანი წლების დამლევს.

„ერთხელ, — გადმოგვცემს მიხეილ ბესტუჟევი, — ოფიცერი ფონ-დეზინი როგორღაც მოხვდა რაევსკისთან საღამოზე და დაინახა თუ არა თავისი თავი დეკაბრისტთა შორის, შეშინებულმა მეორე დღესვე დასტოვა ტფილისი და პეტერბურგს გაემგზავრა. იქ რომ რითიმე გაემართლებინა თავისი უგუნურობა, მან შეიტანა საჩივარი, რომელშიაც ახასიათებდა რაევსკის როგორც მოღალატეს". [8]

მრისხანე მონარქმა უმკაცრესი საყვედური გამოუცხადა რაევსკის, ხოლო მთავარმართებელს უბრძანა, მიმოეფანტა რაევსკის გარშემო შემოკრებილი, ტფილისში მყოფი დეკაბრისტები.

---

[1] ჟურ. «Русский Вестник» 1869 წ., № 4.

[2] А. Ганкгеблов: «Воспоминания» 1888 წ. გვ. 203.

[3] ჟურ. «Русский Архив» 1880 წ., ტ. III.

[4] Ганмгеблов «Воспоминания». 1880, გვ. 202, 203.

[5] ჟურ. «Русский Вестник» 1869 წ., № 4.

[6] იქვე.

[7] «Воспоминания братьев Бестужевых» 1917 წ., გვ. 87

[8] იქვე, გვ 87., 88.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 18 (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.